ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

მარიამ ედიბერიძე

ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა, როგორც იმერეთის ტურიზმის განვითარების ერთერთი მნიშვნელოვანი რესურსი

საზოგადოებრივი გეოგრაფია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნიკო კვარაცხელია

სრული პროფესორი

თბილისი 2019

ანოტაცია

მსოფლიოს მასშტაბით ტურიზმი ერთ-ერთ სწრაფად მზარდ ინდუსტრიას წარმოადგენს. მეცნიერები დიდი ხნის განმავლობაში ეძებდნენ მსოფლიოს მდგრადი განვითარების საშუალებებს გეოგრაფიულ, ეკონომიკურ, სოციოლოგიურ, და სამეცნიერო დისციპლინებში. არცთუ ისე შორეულ წარსულში ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ ტურიზმი უმნიშვნელოვანესი დარგია, რომელიც აახლოვებს მსოფლიო ხალხებს, კულტურებს და ხელს უწყობს მსოფლიო საზოგადოების ჰარმონიულ და მდგრად განვითარებას.

ტურიზმის კუთხით, საქართველო ყოველწლიურად სულ უფრო აქტუალური და მიმზიდველი ხდება. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ცნობებით საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების მატების ტენდენცია შეინიშნება. ამავე წყაროს ცნობებით იმერეთის რეგიონში ,ბოლო წლების მიხედვით, არაორგანიზებული და ორგანიზებული ტურების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. იმერეთის რეგიონს ტურისტლად მიმზიდველი გეოგრაფიული მდებარეობა, ლანდშაფტი, ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული ძეგლები გააჩნია,რომელიც კარგ წინაპირობას ქმნიან რეგიონში ტურიზმის განვითარებისთვის.

იმერეთში არსებული უძველესი ისტორიული ძეგლები, რომელთა რაოდენობა საკმაოდ დიდია, გვიანი ანტიკური ხანიდან მე-20 საუკუნის დასაწყისამდე სტუმრებს უქმნის წარმოდგენას უმდიდრესი კულტურისა და ისტორიის შესახებ.

მოცემულ სამაგისტრო ნაშრომი ეხება იმერეთის რეგიონში არსებული ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობების, იმერეთის ღირსშესანიშნაობების დახასიათებასა და მათი როლის განსახზღვრას იმერეთის ტურიზმის საქმეში.

კვლევის მიზანს წარმოადგენს დაადგინოს იმერეთის რეგიონში ტურიზმის განვითარების ძირითადი ტენდენციები და შეისწავლოს, ის, თუ რა ადგილი უჭირავს ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას რეგიონში ტურიზმის განვითარების საქმეში.

ნაშრომის მთავარ ამოცანას წარმოადგენს მემკვიდრეობის შესწავლა , არსებული ლიტერატურის გაცნობა, ასევე საველე კვლევის ჩატარება და შემდგომში მათი შეჯერების საფუძველზე ძირითადი შედეგების იდენტიფიცირება.

კვლევის საგანს წარმოადგენს იმერეთში არსებული ისტორიულ-კულტურული ძეგლები.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს: იმერეთის რეგიონი, მასში შემავალი თერთმეტი მუნიციპალიტეტი და ქალაქი ქუთაისი.

ძირითადი შედეგები - ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის უცნობი ძეგლებისა და ადგილების გაცნობა. მათი ტურიზმის ინდუსტრიაში ჩართვა და ტურისტულ აქტივობაში ჩაბმა. იმერეთში ტურების გამრავალფეროვნება და ექსკლუზიური ტურების გაკეთება. ამის შედეგად ეკონომიკური სარგებელის ზრდა და დასაქმებულთა რაოდენობის მომატება.

Annotation

Travel around the world is one of the fastest growing industries. Scientists have long been looking for the world's sustainable development in geographical, economic, sociological, and scientific disciplines. In the distant past, they came to the conclusion that tourism is a crucial factor that draws on the world peoples, cultures and promotes harmonious and sustainable development of the world community.

In terms of tourism, Georgia is becoming increasingly relevant and attractive every year. According to the Georgian National Tourism Administration, there is a tendency to increase international traffic in Georgia. According to the same sources, the number of unorganized and organized tours has increased significantly in the Imereti region according to recent years. Imereti region has an attractive geographical location, landscape, natural and historical-cultural monuments that create a good prerequisite for tourism development in the region.

The ancient historical monuments in Imereti, the number of which is quite large, from the late antique period to the beginning of the 20th century, gives visitors a glimpse of the richest culture and history.

The master's thesis deals with the historical and cultural heritage of Imereti region, characterization of Imereti sights and their role in Imereti tourism.

The goal of the research is to identify the main trends of tourism development in Imereti region and study what is the place of historical and cultural heritage in tourism development in the region.

The main task of the work is the study of heritage, the introduction of existing literature, as well as conducting a field survey, and subsequently identifying the main results based on their compilation.

The subject of research is historical-cultural monuments in Imereti.

The object of research is: Imereti region, eleven municipalities and towns in Kutaisi.

Key Results - Introducing Unknown Sites and Places of Historical-Cultural Heritage Involve their tourism industry and engage in tourism activity. Improper tours in Imereti and exclusive tours. As a result, the increase in economic benefits and the increase in the number of employees.

სარჩევი

შესავალი----------

თავი I. იმერეთის რეგიონის ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება

1.1.ბუნების მრაავალფეროვნება და დაცული ტერიტორიები----------

1.2.იმერეთის რეგიონის ისტორიული ქალაქები და არქეოლოგიური ძეგლები ----

თავი II. იმერეთის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის კლასიფიკაცია

2.1. იმერეთის ეკლესია-მონასტრები და საფორტიფიკაციო ნაგებობები------

2.2. მუზეუმები, სახლ-მუზეუმები და გალერეები-------

თავი III. იმერეთის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის გამოყენება ტურისტული მიზნებით

3.1. კულტურული ტურიზმის განვითარება იმერეთის რეგიონში------

3.2. იმერეთის კულტურული მემკვიდრეობის გამოყენება ტურისტული მიზნებით------

დასკვნა----------

გამოყენებული ლიტერატურა----------

დანართი----------

შესავალი

დღითიდღე უფრო იზრდება ტურიზმის მნიშვნელობა საქართველოში. ბოლო წლების განმავლობაში ტურიზმი ჩვენი ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან და სტრატეგიულ მიმართულებად მოიაზრება. ამას ადასტურებს მონაცემები 2009 წლიდან 2015 წლამდე საქართველოში ტურისტთა რაოდენობის ზრდის რომელიც ,მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი გალხდათ. საერთაშორისო მოგზაურების ერთობლივი რაოდენობა 293%-ით გაიზარდა და გადააჭარბა 5.9 მილიონს. (საქართველოს ტურიზმის სტრატეგია, 2025)

მიუხედავად იმისა, რომ კულტურული ,მემკვიდრეობა შორეული წარსულიდანაა, მას მაინც სათანადო ღირებულება და ფუნქცია აკისრია. ის დღევანდელი ცხოვრების და თანამედროვე თვითშეგნების განუყოფელი ნაწილია. ამას ამტკიცებს და ადასტურებს ხელისუფლების მხრიდან ტურიზმის დარგის მუდმივი ხელშეწყობა და სექტორის განვითარების მიმართ მზაობა. ასევე ამ თემაზე ჩატარებული მცირე თუ დიდი მოცულობის კვლევები. (საქართველოს ტურიზმის სტრატეგია, 2025)

,,2012 წელს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია იყო. ამ მიმართულებით, წლის პირველი პროექტი უკვე განხორციელდა და 100-მდე ქართული ძეგლი მათივე ზუსტი კოორდინატებით Google Map-შია ინტეგრირებული. თითოეულ ობიექტს თან ერთვის სრულყოფილი, სასარგებლო ინფორმაცია, გეოგრაფიული კოორდინატები და ასე შემდეგ. რუკის ინსტრუმენტებით შესაძლებელია სივრცითი ანალიზი და მარავალი სხვა ოპერაცია.“ (საქართველოს ტურიზმის სტრატეგია, 2025)

ისე როგორც მთელი საქართველო, ქუთაისის და მისი შემოგარენის ტერიტორია, ანტიკური გვიანი და ადრე ქრისტიანული ხანის ისტორიულ-კულტურული ძეგლებითაა წარმოდგენილი. თითოეული მათგანი ტურისტული ჯგუფებისთვის და სპეციალისტებისთვის ამოუწურავ მარაგს წარმოადგენს. (ქალაქ ქუთაისისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების კონკურენტუნარიანობის შეფასება, 2018)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2017 წლის მონაცემებით, ვიზიტორების მიერ მონახულებული ადგილების მიხედვით ქუთაისისა და მისი შემოგარენის მიმართ განსხვავებული მდგომარეობა დაფიქსირდა. კერძოდ, შიდა ტურიზმის მიხედვით რეგიონში 196 ათასი ტურისტი დაფიქსირდა, რაც ქვეყნის მასშტაბით საუკეთესოა თბილისის შემდეგ და ქვეყნის შიდა ვიზიტორთა საერთო რაოდენობის 18,8%-ს შეადგენს. უცხოელი ვიზიტორების , რაოდენობა საანგარიშო წელს 28,4 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც ქვეყნის მაჩვენებლის მხოლოდ 3,6%-ს შეადგენდა. იხ.ცხრილი#1 (ქალაქ ქუთაისისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების კონკურენტუნარიანობის შეფასება, 2018)

თემის აქტუალობას ამტკიცებს 2012 წელს ,,Inovative Tourism Advisors'' მიერ იმერეთის რეგიონში ჩატარებული კვლევა. კვლევითი ნაშრომის სახელწოდებაა ,,ტურ-ოპერატორების გამოკითხვის შედეგების ანგარიში'' . საკვლევი ობიექტი აქაც იმერეთია და საკვლევი თემა იმერეთის ტურისტული პოტენციალი. ამ კვლევაში გამოიკითხა ტურისტული კომპანიები. ამ თემასთან ახლოს არის კიდევ ერთი ძალიან საინტერესო კვლევა, რომელიც ჩატარებულია იგივე ,,Inovative Tourism Advisors''-მიერ. აქაც კვლევის ობიექტი არის იმერეთი და საკვლევი თემა - ,,იმერეთის ტურიზმის სექტორის მთავარი მიზნები და სტრატეგიები'' .კვლევის ნაშრომის სახელწოდება კი შემდეგნაირია ,,მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან (სტეიქჰოლდრებთან) ინტერვიუს ანგარიში''. (ტურ ოპერატორების გამოკითზვის შედეგების ანგარიში) (მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან (სტეიქჰოლდერებთან) ინტერვიუს ანგარიში)

ნაშრომის **კვლევის მიზანია** იმერეთის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის როლის განსაზღვრა, იმერეთის ტურიზმის განვითარების საქმეში.

კვლევის ამოცანებია :

1. რეგიონის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის, კვლევებისა და ნაშრომების მიმოხილვა.

2. იმის დადგენა, რამდენად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ისტორიულ-კულტურულ ძეგლებს იმერეთის ტურიზმის განვითარებაში.

კვლევის საგანს წარმოადგენს იმერეთში არსებული ისტორიულ-კულტურული ძეგლები, ხოლო **კვლევის ობიექტს** იმერეთში არსებული თერთმეტი მუნიციპალიტეტი და ქალაქი ქუთაისი.

ნაშრომისვთის გამოყენებულია კვლევის თვისებრივი მეთოდი, კერძოდ დოკუმენტების ანალიზი და სიღრმისეული ინტერვიუ. სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებთან და კერძო გიდებთან.

მოცემული კვლევის უპირატესობა მდგომარეობს მიღებული ინფორმაციის სიახლეში. მსგავსი კვლევები ბოლო რამდენიმე წელია არ ჩატარებულა, თუმცა მანამდე არსებულისგან ამ ნაშრომს განასხვავებს კვლევის მეთოდოლოგიის მრავალფეროვნება.

I. იმერეთის რეგიონის ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება

1.1 ბუნების მრაავალფეროვნება და დაცული ტერიტორიები

,,იმერეთი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა. ვრცელი მნიშვნელობით იგი დასავლეთ საქართველოს ისტორიული სახელწოებაა, ისევე, როგორც ძველი კოლხეთი, ეგრისი, აფხაზეთი". (საბჭოთა ენციკლოპედია ტ.5 გვ112) (იხ.რუკა#1)

,,იმერეთი შემოსაზღვრულია აღმოსავლეთით ლიხის ქედით, დასავლეთით ცხენისწყლით, ჩრდილოეთით კავკასიონის ქედით და სამხრეთით ფერსათის, ანუ მესხეთის მთებით. სახელწოდება დაკავშირებულია ამ მხარის მდებარეობასთან, იმერეთი ანუ ლიხსიქითა მხარე". (საბჭოთა ენციკლოპედია ტ.5 გვ112)

იმერეთი იყოფა ორ ნაწილად: ზემო და ქვემო იმერეთად. იმერეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები დასტურია იმისა , რომ ამ მხარეში ადამიანს ცხოვრება, ჯერ კიდევ უძველეს დროში დაუწყია. საქალაქო ცხოვრების ამსახველი, უძველესი პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები ნაპოვნია ქალაქ ქუთაისში, ვანში, შორაპანში და სხვა ადგილებში. მხარის ხელსაყრელი მდებარეობის გამო ამ ქალაქებს ოდითგანვე დიდი სტრატეგიული, ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა ქონდა. (სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია იმერეთში, 2015)

,,თვითმმართველი ერთეულები იმერეთის მხარე წარმოდგენილია 10 საქალაქო დასახლებით, 3 დაბით (შორაპანი, კულაში, ხარაგაული), 529 სოფლითა და 12 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ერთეულით (ადმინისტრაციული ცენტრი ქალაქი ქუთაისი და ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, ხარაგაულის, ხონის, წყალტუბოს, ჭიათურის მუნიციპალიტეტები) (იხ.რუკა#2). ადმინსტრაციული ცენტრის დაშორება უახლოეს საერთაშორისო აეროპორტთან -20 კმ-ია, უახლოეს საზღვაო პორტთან (ფოთი) – 102 კმ. რეგიონი მდებარეობს ზღვის დონიდან დაახლოებით 2 850მ.სიმაღლეზე". (დევიძე ე.2012)

მოკლედ განვიხილოთ თითოეული ადმინისტრაციული ერთეული.

წყალტუბოს რაიონი საქართველოს განვითარებული საკურორტო ზონა იყო. იგი გამოირჩევა მინერალური წყლებით, სამკურნალო აბაზანებით. 1990-იანი წლების რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების გამო წყალტუბოს ინფრასტრუქტურამ დიდი ზიანი განიცადა. დღესდღეობით წყალტუბოს რაიონი დამსვენებლებს ორი სანატორიუმითა და მინერალური წყლების აბაზანებით ემსახურება. წყალტუბოს რაიონი ხასიათდება მთაგორიანი რელიეფით, ტყისა და მთის მასივებით, გამოქვაბულებით, მღვიმეებითა და ნაკრძალებით. ასეთი ლანდშაფტი ხელს უწყობს რაიონში სამთო-საცხენოსნო, ეკოტურიზმის, სამთო ქვეითი და სპელეო ტურიზმის განვითარებას. (დევიძე ე. 2012)

ხარაგაულის რაიონი გამოირჩევა ტურისტული რესურსებით, რომელთგანაც აღსანიშნავია ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი. პარკი რეგიონში მოიცავს 24000 ჰა-ს. ხარაგაულის რაიონი მთაგორიანი რელიეფით, ფლორითა და ფაუნით, ენდემური ჯიშის მცენარეებით, მთის მდინარეებითა და ტბებით გამოირჩევა. ენდემური ჯიშის მცენარეები მხოლოდ ამ ტერიტორიისთვისაა დამახასიათებელი. ბორჯომ-ხარაგაულის პარკი ისტორიული თორის, არაგვეთისა და სამცხის ტერიტორიებს მოიცავს. ის ხუთ რეგიონს ესაზღვრება. ამ რეგიონებიდან ორი იმერეთს ეკუთვნის: ხარაგაული და ბაღდათი. ბორჯომ- ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიიდან შემოვიდა საქართველოში ანდრია პირველწოდებული ქრისტიანობის საქადაგებლად. ამას მოწმობს მაღალ მთზე აღმართული რკინის ჯვარი. ხარაგაულის რაიონი გამოირჩევა, როგორც ისტორიულ-კულტურული ძეგლების სიმდიდრით ასევე კურორტების მნიშვნელობით. რეგიონში 200-ზე მეტი ისტორიულ-კულტურული ძეგლია. ასევე აქ მდებარეობს კურორტი „ნუნისი“, რომელიც გამოირჩევა მინერალური წყლითა და შესანიშნავი ჰავით. „ნუნისის“ მინერალური წყალი კარგია კანის დაავადებების, ჰავა კი

ბრონქიალური ასთმის განსაკურნად. ხარაგაულის რაიონი გამოირჩევა აგრეთვე მინერალური წყლით, რომლის სახელწოდებაცაა „ზვარე“. (დევიძე ე. 2012)

ბაღდათის რაიონი იმერეთის რეგიონის აგრარული სექტორის ერთ-ერთი მთავარი ცენტრია. რაიონში მდებარეობს ცნობილი კურორტი „საირმე“, რომელიც გამორჩეულია მინერალური და თერმული წყლების სიმდიდრით. სწორედ ამის გამო კურორტს საბჭოთა კავშირის პერიოდის დროს 80 000- ზე მეტი დამსვენებელი სტუმრობდა. საირმე დღესაც ღებულობს დამსვენებლებს და მისი ფუნქციონირება თანდათან აღდგა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ. საირმედან ოთხი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს თერმული წყლებით მდიდარი კურორტი უდაბნო. კურორტი დამსვენებლებს დღესდღეობით სთავაზობს სხვადასხვა სახის მომსახურებას. ბაღდათის რაიონში ასევე მდებარეობს ცნობილი რუსი პოეტის ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი. (დევიძე ე. 2012)

ვანის რაიონში მდებარეობს ვანის ნაქალაქარი, ანტიკური კოლხეთის პერიოდის ნაქალაქარი. რეგიონში ხშირად მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები, რის გამოც ის ცნობილია არქეოლოგიური მუზეუმებით. ვანის რაიონი ასევე ცნობილია დიდი ქართველი პოეტების გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმით. ვანის რეგიონი წარმოდგენილია მთის ლანდშაფტით, მინერალური წყლებით, მდიდარი ფლორითა და ფაუნით. კურორტებიდან აღსანიშნავია „სულორი“ და „ამაღლება“. ვანში შესაძლებელია განვითარდეს სხვადასხვა სახეობის ტურიზმი, როგორიცაა: საცხენოსნო , ღვინისა და სამზარეულოს ტურიზმი, ისტორიული და აგროტურიზმი, სათევზაო და სანადირო, ასევე ეკოტურიზმი. საწყალოსნო ტურიზმის განვითარება შესაძლებელია მდინარე რიონზე. (დევიძე ე. 2012)

ტყიბულის რაიონის ტურისტული განვითარების პოტენციალი საკურორტო ზონებს ემყარება. კურორტებიდან წარმოდგენილია საწირის, ხრესილის, სოჩხეთის, ცხრაჯვარის, დასასვენებელი კომპლექსები. ტყიბულის რაიონის ტურიზმის განვითარება ასევე იშვიათი სილამაზით გამორჩეულ წყალსაცავებს ემყარება. ეს ორი წყალსაცავი კარგ შესაძლებლობას იძლევა იმისათვის, რომ რეგიონში განვითარდეს საწყლოსნო და სათევზაო ტურიზმი. ტყიბულის რაიონი მდიდარია როგორც

ისტორიულ-კულტურული, ასევე ბუნებრივი ძეგლებით. ისტორიული ძეგლებიდან აღსანიშნავია გელათის (XII ს) და მოწამეთას (VIII-XI ს) მონასტრები. ბუნებრივი ძეგლებიდან გამოირჩევა ცუცხვათის 13-სართულიანი მღვიმე, ასევე ჭახათის, მუხურას, საკაჟიის მღვიმები და ცხრაჯვარის გამოქვაბულები. (დევიძე ე. 2012)

ჭიათურის რაიონზე ძველი საქარავნო გზა გადიოდა. ამიტომ მის ტერიტორიაზე ბევრი უძველესი ისტორიული ძეგლი მდებარეობს. ზოგი ანტიკურ, ზოგი კი გვიანი რენესანსის პერიოდს მიეკუთვნება. ჭიათურის რაიონი ფლორისა და ფაუნის, კარსტრული გამოქვაბულების სიმდიდრით გამოირჩევა. გამოქვაბულებებიდან აღსანიშნავია ნაკაჭკარის, შვილობისას, ხრეითის ვერტიკალური, ხრეითის მრავალსართულიანი, დარკვეთის, გუნდაეთის, ნიგოზეთისა და ტყემლოვანას შუა მდებარე დიდი გამოქვაბულები. მათი სიგრძე საშუალოდ 400-500მ-ია. (დევიძე ე. 2012)

საჩხერის რაიონი, ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის აკაკი წერეთლის სამშობლო ზემო იმერეთს მიეკუთვნება. რეგიონი მდიდარია ლამაზი ბუნებით, ფლორითა და ფაუნით, მთაგორიანი რელიეფით. აქ მდებარეობს კვერეთის დასასვენებელი სახლი. ჭიათურის რეგიონში ასევე მრავლადაა წარმოდგენილი ისტორიული ძეგლები: სავანის ეკლესია, ადრეული შუა საუკუნეების ციხე „მოდი ნახე“, ითხვისის ეკლესია და სხვა. (დევიძე ე. 2012)

ზესტაფონის რაიონის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა იყო მისი როლის განმაპირობებელი საქართველოს ისტორიის მანძილზე ყველა ეპოქაში. ზესტაფონის რაიონი ისტორიული არგვეთის შუაგული იყო. რეგიონი გამოირჩევა ისტორიული ძეგლებით. ზესტაფონის რაიონს დიდი პოტენციალი აქვს აგროტურიზმის განვითარებისათვის. ამის წინაპირობას ქმნის ყურძნის ჯიშების არსებობა, გავრცელება და უძველესი ღვინის საცავები. აქ ასევე კარგადაა განვითარებული ხალხური რეწვა. (დევიძე ე. 2012)

თერჯოლის რაიონი იმერეთის ერთ-ერთი მდიდარი რეგიონია ისტორიულ-კულტურული და ბუნებრივი ძეგლების სიმრავლით. აქ მდებარეობს კურორტი „სიმონეთი“ და ნავენახევის მღვიმე. სოფელი სიმონეთი იყო ქართველი მწერლის დავით

კლიაშვილის მშობლიური მხარე. ისტორიული ძეგლებიდან აღსანიშნავია ოქონის დედაღვთისას, ჩხარის მთავარანგელოზის, გოდოგანის ეკლესიები და ციხე-სიმაგრეები, რომლებიც მე-7 და მე-10 საუკუნეებით თარიღდება. თერჯოლის რაიონში ცხოვრობენ ბაგრატიონების შთამომავლები. (დევიძე ე. 2012)

სამტრედიის რაიონში უამრავი ისტორიული ძეგლითაა მდიდარი: საჯავახოს შუა საუკუნეების ღვთისმშობლის და ოფეთის მე-11 საუკუნის მთავარანგელოზის ეკლესიებით, ასევე თამარ მეფის ციხე-სიმაგრით, რომელიც სოფელ ტოლებში მდებარეობს. სამტრედიის რაიონში უამრავი სახეობის ტურის განვითარებაა შესაძლებელი, ასეთებია: ღვინისა და სამზარეულოს ტურები, სამთო, საცხენოსნო, ქვეითი, საწყლოსნო ტურები, ეკოტურიზმი და აგროტურიზმი. (დევიძე ე. 2012,)

ხონის რაიონი უნიკალური ლანდშაფტით გამორჩეული რაიონია. მისი მრავალფეროვანი ბუნება, შერეული და ფოთლოვანი ტყე, ასხის მთა და კინჩხის გადასასვლელი კარგ შესაძლებლობას იძლევა რეგიონში განვითარდეს ეკოტურიზმი, სამონადირეო და საცენოსნო ტურიზმი, მეკლდეურობა (ალპინიზმი), დასასველებელი (შემეცნებითი) ტურიზმი. რეგიონში ასევე ვხვდებით ისტორიულ ძეგლებს, როგორებიცაა დადიანების გორდის სასახლე, მათხოჯის დედათა მონასტერი, წმინდა გიორგის XVI ს. ეკლესია. (დევიძე ე. 2012)

იმერეთის მხარე ფლორისა და ფაუნის სიმდიდრით გამოირჩევა. აქ წარმოდგენილია როგორც ფოთლოვანი, ასევე შერეული და წიწვოვანი ტყეები. ტყის მასივები მთაგორიან ლანდშაფტებზეა განფენილი და 250 000 ჰა-ს მოიცავს. მაქსიმალური სიმაღლე იმერეთში ზღვის დონიდან 2850 მ-ია. იმერეთში ვხვდებით კავკაიისთვის დამახასიათებელ ფაუნის წარმომადგენლებს: ირემი, შველი, მელა, კავკასიური დათვი, ტურა, ტახი. რეგიონში ფრინველთა სამყაროსც ფართოდაა წარმოდგენილი. აქ ჯერ კიდევ შემორჩენილი, განსაკუთრებით მთიან ადგილებში, ხელშეუხებელი და ეკოლოგიურად სუფთა ბუნება. ასეთი ზონებია: აჯამეთის, ვანის, სათაფლიის, მუხრანის, ბაღდათის, ჭიათურის ტერიტორიები. განსაკუთრებით კი გამოირჩევა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი,

რომელიც 2400 ჰა-ს მოიცავს. (სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია, იმერეთში 2015)

„დღეისათვის საქართველოში დაცული ტერიტორიების 5 კატეგორიაა წარმოდგენილი და მათი საერთო ფართობი 511 123 ჰა, რაც ჩვენი ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის დაახლოებით 7%-ია“. (დევიძე ე. 2012,)

„უშუალოდ იმერეთის ტერიტორიაზე დაცული ტერტიტორიების შემდეგი კატეგორიები გხვდება: აჯამეთის აღკვეთილი, სათაფლიის ნაკრძალი, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი (მღვიმეები, კანიონები, ჩანჩქერები)“. (დევიძე ე. 2012)

იმერეთის რეგიონის დაცული ტერიტორიები

- **თეთრი მღვიმის ბუნების ძეგლი**

თეთრი მღვიმის ბუნების ძეგლი მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქალაქ წყალტუბოდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 2 კილომეტრამდე დაშორებით, ზღვის დონიდან 140 მეტრზე. ბუნების ძეგლის ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს თეთრი ქათქათა ფენის ნაღვენთებით გამორჩეული ქვედაცარცულ კირქვებში გამომუშავებული 25 მეტრის და 3,5 მ-ის სიმაღლის მღვიმე, რომლის შესასვლელი 2 მ-ის დიამეტრის შვეული ხვრელით უკავშირდება ვრცელ, ჰორიზონტალურ ფსკერიან დარბაზს. მღვიმე საინტერესოა ძველი სიმფონური არხების მრავალფეროვნებით. მღვიმე გამოირჩევა სამკურნალო თვისებებით. გასულ საუკუნეში აქ მკურნალობდნენ ბრონქულ ასთმით და ჰიპერტონიით დავადებულ პაციენტებს. იგი მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ძეგლს წარმოადგენს, სადაც მოპოვებულია მღვიმური დათის, ირმის, ბიზონის, მგლის, მელას, კურდღლის ძვლები, ასევე კერამიკის ნაშთები. (დაცული ტერიტორიების სააგენტო 2018)

- **პრომეთეს /ყუმისთავის მღვიმის ბუნებრივი ძეგლი**

პრომეთეს იგივე ყუმისთავის მღვიმის ბუნების ძეგლი მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტ სოფელული ყუმისთავის მიდამოებში, ზღვის დონიდან 175 მეტრზე. ძეგლის ღირსშესანიშნაობას წარმოადგებს ბარემული ასაკის სქელშრეებრივ კირქვებში გამომუშავებული მღვიმე, ულამაზესი ნაღვენთი ფორმებით. მღვიმე გამოირჩევა განსაკუთრებული ფორსმის სტალაქტიტებს, სტალაგმიტებს, სტალაგნატებს, ჰელიკტიტებს, გაქვავებულ ჩანჩქერებსა და ჩამოკიდებულ ქვის ფარდებით. (დაცული ტერიტორიების სააგენტო 2018)

- **ბღერის მღვიმის ბუნების ძეგლი**

ბღერის ბუნების ძეგლი მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტ, სოფელი მელოურის მიდამოებში, ზღვის დონიდან 458 მეტრზე. ძეგლის ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს წარმოადგენს 1700 მ სიგრძისა და 14 000 $მ^2$ ფართობის მღვიმე, რომელიც გამომუშავებულია მდინარე ბღერისწყლის მიერ ქვედაცარცული ასაკის თხელ და საშუალო შრეებრივ კირქვებში. მდინარე თავდაპირველად დახურულ ხეობას წარმოქმნის და შემდგომ ჩაედინება ვიწრო პონორში. იგი იწყება წვრილმარცვლოვანი ქვიშითა და ზედაპირიდან ჩამორეცხილი ხის ტოტებით ამოვსებული 30 მ - სიგრძისა და 40-50 სმ სიმაღლის ხვრელით, რომელშიც ჩაედინება მდინარე ბღერისწყლის ნაკადები. აქ მას მარჯვნიდან მელოურისა და დიდღელეს მღვიმეებიდან შემოსული მუდმივმოქმედი ნაკადები უერთდება. მდინარე განედურად გადაკვეთს მთელ მღვიმეს და დასავლეთ დაბოლოებაში ნაზვავსა და მცირე სიღრმის სიფონში იკარგება. ბღერის მღვიმეს კარგად ეტყობა ნაკადების ეროზიული მოქმედების კვალი. (დაცული ტერიტორიების სააგენტო 2018)

- **ხომულის მღვიმის ბუნების ძეგლი**

ხომულის მღვიმის ბუნების ძეგლი მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელი ხომულის მიდამოებში, 160 მეტრზე ზღვის დონიდან. ძეგლის ღირშესანიშნაობას წარმოადგენს ქვედაცარცულ კირქვებში გამომუშავებული მღვიმე.

მღვიმე იწყება წამოხურული კარნიზით. შემოსასველის წინ (ზედაპირზე) ჩაქცევით წარმოშობილი ტბაა, რომლის სიღრმეა 5 მეტრი, გარშემოწერილობა კი 30 მ. ტბა მიწისქვეშა დინებით წყალტუბოს წყალსაცავს უერთდება. 4 მეტრიანი საფეხურით მღვიმე ორ ნაწილად იყოფა. წინა ნაწილი ვრცელია, ფსკერზე -კარსტული ძაბრებით. მეორე ნაწილი ვიწრო ხვრელია, გადაადგილდება მხოლოდ ფორთხვით არის შესაძლებელი. მღვიმე მშრალია. შეიმჩნევა დროებით ღვართა ნაკვალევი. გვირაბის ბოლოში პატარა ტბაა. (დაცული ტერიტორიების სააგენტო 2018)

- **საწურბლიას მღვიმის ბუნების ძეგლი**

საწურბლიას მღვიმის ბუნების ძეგლი მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფელი ყუმისთავის მიდამოებში, მდინარე სემის მარცხენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 287 მეტრზე. ძეგლის ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს ბარემულ კირქვებში გამომუშავებულ სტალაქტიტებით, სტალაგმიტებით, ტრავერტინებითა და დიდი ზომის გურებით მდიდარ მდინარე სემის მარცხენა სანაპიროზე მდებარე მღვიმე. მღვიმის შესასველი იხსენება ასიმეტრიული ძაბრის ფსკერზე. შესასველის სიგანე 6 მეტრია, პირველ 80 მ სიგრძეზე, ფსკერი დახრილია 12-15^{0} - ით. ბოლომდე ინვითარებს 1 - 1, 5 მეტრის სიღრმის საფეხურებს. შესასველიდან 125 მეტრში 5 მეტრიანი ფლატეა, რომელსაც ებმის დიდი ზომის დარბაზი (30 X25). შუასაუკუნეებში მღვიმეს იყენებდნენ თავშესაფრად. (დაცული ტერიტორიების სააგენტო 2018)

- **სოლკოტას მღვიმის ბუნების ძეგლი**

სოლკოტას მღვიმის ბუნებრივი ძეგლი მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელი ყუმისთავის მიდამოებში მდინარე სემის მარცხენა სანაპიროზე, ზღვის დონიდან 379 მეტრზე. ამ ძეგლის მთავარ ღირშრსანიშნაობას წარმმოადგეს, მღვიმე, რომელიც გამომუშავეულია ბარემულ კირქვებში. შესასვლელი იხსნება მცენარეულობით შენიღბულ კარსტული ძაბრის ფსკერზე, რომელიც დამრეცად მიემართება სიღრმეში. დახრილი დერეფნის შემდეგ მღვიმე ფართოვდება 10-15 მ-მდე და საკმაოდ ეფექტურ, პორიზონტალურ ფსკერიან დარბაზში გადადის, რომლის ჭერის

სიმაღლე თითქმის 30 მ-ს უახლოვდება. ქიმიური ნალექებიდან აღსანისნავია სტალაქტიტები, სტალაგმიტები. ყურადღებას იპყრობს ნაღვენთების განსაკუთრებით დიდი ზომები. ჭერიდან სიმძიმის ძალით მოწყვეტილი სტალაქტიტის გარშემოწერილობა 5 მეტრს უდრის. ამ ზომის სტალაქტიტი იშვიათია ევროპაში. შესასველიდან 160 მ-ში ფსკერიდან აღმართულია 8 მ სიმაღლის სტაკაგმიტი, რომლის გარშემოწერილობა ძირთან 8.5 მ-ია, შუაში კი - 4,5 მ. მღვიმე წარმოადგენს ასევე პალეონტოლოგიურ ძეგლს, რადგან აქ აღმოჩენილი იყო მღვიმური დათვის ძვლები. (დაცული ტერიტორიების სააგენტო 2018)

- **ღლიანას მღვიმის ბუნების ძეგლი**

ღლიანას მღვიმის ბუნების ძეგლი მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ყუმისთვაში, პრომეთეს მღვიმის მიმდებარე ტერიტორიაზე. ბუნების ძეგლის ღირსესანიშნაობას წაროადგენს თავისი სიძველე. მღვიმე გამომუშავებულია ქვედაცარცულ კირქვებში. ბუნების ძეგლს ორი შესასვლელი გააჩნია; პირველი - საიდანაც ძირითადი მიწისქვეშა ნაკადი გამოდის, სიმაღლით 3,5- 4მ , ხოლო სიგანე 7 მ-ია; მარცხენა განშტოება მთავარი შესასველიდან 35-40 მ-ის დაშორებით ციცაბო საფეხურებით ზედაპირზე ამოდის. აქედან 60 მეტრში ფსკერი 50 მ სიგრძის სიფონურ ტბას უკავია, რომლის სიგანე 3-4 მ, ხოლო ჭერის სიმაღლე 2,5 მ აღწევს. პირველ სიფონს 200 მ სიგრძის წყლიანი და უნაპირო დერეფანი აგრძელებს; (დაცული ტერიტორიების სააგენტო 2018)

- **გაბზარული ტყის ბუნების ძეგლი**

გაბზარულას ტყის ბუნების ძეგლი მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელი ყუმისთავის, ყუმისთავის წყაროების ჩრდილოეთ-დასავლეთ დაახლოებით 2 კილომეტრში, ზღვის დონიდან 166 მეტრზე.ბუნების ძეგლის ღირშესანიშნავობა მის სიძველეში მდებარეობს.ბუნების ძეგლი გამომუშავებულია ქვედაცარცულ კირქვებში, ძეგლის შახტი იხსნება ფართო ნაპრალის სახით, ფოთლოვანი ტყით დაფარულ ფერდობზე . ჩრდილოეთისკენ გაწოლილი ნაპრალის სიგრძე 60 მეტრს აღწევს, ხოლო

სიგანე 2-25 მ-ია. ნაპრალის ფსკერზე, ზედაპირიდან 25 მეტრი სიღრმეზე 45 მეტრი სიღრმის სიფონური ტბა მდებარეობს. (დაცული ტერიტორიების სააგენტო 2018)

- **დიდღელის მღვიმის ბუნების ძეგლი**

დიდღელის მღვიმის ბუნების ძეგლი მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფელი მელოურის მიდამოებში, ზღვის დონიდან 418 მეტრზე. წარმოდგენილი ბუნების ძეგლის ღირშესანიშნაობას წარმადგენს ძველი ნაღვენთები და მღვიმის შესასვლელთან არსებული ტბა. მდინარე ოსუნელას ზემოქმედებით ბარემულ კირქვებში, მრავლდადაა ჭერიდან და კედლებიდან მორღვეული ლოდნარი, თიხის ნაფენები და სხვა. პატარა ნაკადულ კინკილეს ზემოქმედებით კი მღვიმის შესასვლელში ნაპრალთან გაჩენილია პატარა ტბა. (დაცული ტერიტორიების სააგენტო 2018)

- **მელოურის მღვიმის ბუნების ძეგლი**

მელოურის მღვიმის ბუნების ძეგლი მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფელი მელოურის მიდამოებში ზღვის დონიდან 418 მეტრზე. ბუნებრივი ძეგლის მთავარ ღირშესანიშნაობას წარმოადგენს მღვიმის სიდიდე. თავისი სიდიდის მასშტაბებით ის საქართველოში ერთ-ერთია. მღვიმეში ჩასასვლელი ამობრუნებული ძაბრივითაა, 8-10 მეტრის სიღრეში ჩასასვლელი ცოტა ვიწროა და 15 მეტრზე ჩასვლისას უკვე ფართოვდება და გიგანტურ კიქვის ლოდებთან იხსნება. მღვიმესი გადაადგილება თავდაპირველად რთულია, მაგრამ მღვიმე გამოირცევა ნაპრალთა ხშირი ქსელით. მათი გადაკვეთის ადგილებში წარმოიქმნება ვრცელი დარბაზები. დარბაზების დასრულების შემდეგ,რამდენიმე კილომეტრის სიგრძეზე წარმოიქმება კანიონისებრი ხეობა, სადაც გაედინება მუდმივი წყლის ნაკადი. (დაცული ტერიტორიების სააგენტო 2018)

- **წყალწითელას ხეობის ბუნების ძეგლი**

წყალწითელას ხეობის ბუნების ძეგლი მოიცავს ქალაქი ქუთაისის, ტყიბულისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებს, ასევე მდინარე წყალწითელას ხეობას, გელათის ხიდიდან გოდოგანის ხიდამდე, ზღვის დონიდან 130-200 მეტრზე. (დაცული ტერიტორიების სააგენტო 2019)

ბუნების ძეგლის ძირითად ღირშესანიშნაობებს წარმოადგენს ულამაზესი კულხური ტყე, და მისით დაფარული განსაკუთრებული სილამაზით გამორჩეული მდინარე წყალწითელას კანიონისებური ხეობა. წყალწითელას სახელი, როგორც ლეგენდა ამბობს, ხრესილის ომის შემდეგ შეერქვა, როცა წყალი წითლად შეღებილა. სინამდვილეში წყალწითელას ბუნების ძეგლი ხასიათდება წითელ მიწების არსებობით. როცა მდინარე დიდდება წყალი წითელი მიწის ქანებს რეცხსვს და წყალიც წითლდება. ხეობაში წყალქვეშ და ხმელეთზე მრავალი მინერალური წყარო მდინარეს სძენს საოცარ სამკურნალო თვისებებს. მდინარე გამოირცევა თევზის მრავალი სახეობით: ჭანარი, წვერა, მურწა, ქაშაპი, შამაია, ტობი, კალმახი. მდინარის ნაპირზე ბინადრობს წავი და ნუტრია. ზამთარში აქ შეიძლება ნახო წყალმცურავი ფრინველები, ძუძუმწოვრებიდან ტურა, მელა, მაჩვი. ხეობას თავისებურ ხიბლს სძენს ისტორიულ-კულტურული ძეგლები: გელათის სამონასტრო კომპლექსი და წმინდა მოწამეების დავითისა და კონსტანტინეს სახელობის მონასტერი. (დაცული ტერიტორიების სააგენტო, 2018)

- **მუხურის ჩანჩქერის ბუნების ძეგლი**

მუხურის ჩანჩქერის ბუნების ძეგლი მდებარეობს ტყიბულის მუნიციპალიტეტის, სოფელ მუხურას მიდამოებში, ახლოს ტყიბული-მუხურას საავტომობილო გზასთან, 886 მეტრი ზღვის დონიდან. ბუნების ძეგლის მთავარ ღირშესანიშნაობას წარმოადგენს სამხრეთით მდებარე ფერდობიდან გადმოსული 60-70 მეტრი სიმაღლის სამსაფეხურიანი ჩანჩქერი. მღვიმეში არის ორი ტბა, ერთი დიდი ზომის მეორე პატარა. ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორია დაფარულია ფართეფოთლოვანი ტყით. აქ ძლიან ბევრი ენდემური ცხოველი ბინადრობს, კერძოდ: ვოლნუხინის, რადეს და კავკასიური წყლის ბიგები. ბუნების ძეგლთან ყველაზე ახლომდებარე მსხვილი დასახლებული პუნქტია ქალაქი ტყიბული. (დაცული ტერიტორიების სააგენტო ,2018)

- **ცუცხვათის მღვიმოვანის ბუნების ძეგლი**

ცუცხვათის მღვიმოვანი თავის მხრივ აერთიანების 11 მღვიმეს:

I. შაბათღელის მიწისქვეშა კალაპოტი (მღვიმე პირველი)

II. ცუცხვათის მეორე მღვიმე
III. ბიზონის, (ცუცხვათის) მესამე მღვიმე
IV. ბრინჯაოს, (ცუცხვათის) მეოთხე მღვიმე
V. ორმაგი ეხის,(ცუცხვათის) მეხუთე მღვიმე
VI. დათვის , (ცუცხვათის) მეექვე მღვიმე
VII. ღამურების,(ცუცხვათის) მეშვიდე მღვიმე
VIII. მოაჯირიანი , (ცუცხვათის) მერვე მღვიმე
IX. პორფირიტული (ცუცხვათის) მეცხრე მღვიმე
X. ზედა , (ცუცხვათის) მეათე მღვიმე
XI. ბეჟიას ტბის, (ცუცხვათის) მეთერთმეტე მღვიმე (დაცული ტერიტორიების სააგენტო 2018)

- **საკაჟიას მღვიმის ბუნების ძეგლი**

ბუნების ძეგლი, მდებარეობს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ გოდოგანის მიდამოებში მდინარე წყალწითელას მარცხენა ფერდობზე, ზღვის დონიდან 204 მეტრზე. ძეგლის ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს მღვიმის სიძველე,რომელიც გამომუშავებულია ქვედაცარცულ კირქვებში. მღვიმის ფასეულობას წარმოადგენს მღვიმის პალეოზოოლოგიური, არქეოლოგიური, პალეობოტანიკური აღმოჩენები. მღვიმეს აქვს ჰორიზონტალური ფორმა, 6 მეტრი სიმაღლის და 30 მეტრი სიგანის ფორმა. მღვიმე არის დახშული და ბნელი. ბუნების ძეგლი ახლოსაა ქუთაისთან და ადვილად მისასვლელია. (დაცული ტერიტორიების სააგენტო, 2018)

- **ნაგარევის მღვიმის ბუნების ძეგლი**

ნაგარევის მღვიმის ბუნების ძეგლი მდებარეობს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელი გოდოგნის მიდამოებში, კერძოდ მდინარე ჭეშურასთან, მარცხენა ფერდობზე, ზღვის დონიდან 199 მეტრზე. ძეგლის ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს მღვიმის უცნაური ფორმა, რომლიც ფსკერზე ჩადის სპირალურად და აქვს ნაკადოვანი ფორმა,

140 მეტრი სიგრძის. მღვიმეში გვხვდება, როგორც დერეფნები, დარბაზები ასევე ტერასების ფრაგმენტები. მღვიმეში სუსტად არის წარმოდგენილი ნალექების ქიმიური და მექანიკური სახეობები. მღვიმეში სიარული ცოტა გართულებულია, რადგან ზოგ ადგილას საჭიროა ხოხვით ძრომა. ნაგარევის მღვიმე ახლოა ქუთაისთან. (დაცული ტერიტორების სააგენტო, 2018)

- **ნავენახევის მღვიმის ბუნების ძეგლი**

ნავენახევის მღვიმის ბუნების ძეგლი მდებარეობს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ნავენახევში. მისი მდებარეობა ზღვის დონიდან არის 320 მეტრი. ნავენახევის მღვიმის მთავარ ღირშესნიშნაობას წარმოადგენს 250 მეტრი სიმაღლის ოთხ დარბაზიანი მღვიმე. აქ არის ლამაზი ფორიმის სტალაქტიტები და სტალაგმიტები. მღვიმეს არ აქვს გასასვლელი და ამოკეტილია სტალაქტიტების სქელი ფენით, რომლის სისქე 7 მეტრს აღწევს. მღვიმე ახლოა ქუთაისთან. (დაცული ტერიტორიების სააგენტო, 2018)

- **ოკაცეს (კიჩხას) ჩანჩქერის ბუნების ძეგლი**

ოკაცეს ჩანჩქერის ბუნებრივი ძეგლი მდებარეობს ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ კინჩხას მიდამოებში, ზღვის დონიდან 843 მეტრზე. ბუნების ძეგლის ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს, მდინარე საწისქვილოს ხეობაში ასხის მასივის აღმოსავლეთიდან სამ საფეხურად გადმომავალი ულამაზესი ჩანჩქერი. საწისქვილოს მარჯვენა შენაკადზეა წარმოქმნილი პირველი ორი ჩანჩქერი. მათი სიმაღლეები ასეთია. პირველის სიმაღლე 25 მეტრს აღწევს ხოლო მეორე ჩანჩქერის სიმაღლე 70 მეტრია. ამ ნაკადის მდინარე საწისქვილოსთან შეერთების შემდეგ წარმოიქმნება დაახლოებით ოც მეტრში წარმოიქმნება ბუნებრივი ძეგლის მესამე ჩანჩქერი- სიმაღლით 35 მეტრი. ბუნების ძეგლთან ყველაზე ახლომდებარე ობიექტი არის ქუთაისი. (დაცული ტერიტორიების სააგენტო, 2018)

- **ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლი**

ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლი მდებარეობს ხონის მუნიციპალიტეტის სოფელი გორდის მიდამოებში, ზღვის დონიდან 520 მეტრსში. აღნიშნული ძეგლის ღირსშესანიშნაობა წარმოადგენს გეოლოგიური, პალოგრაფიული გეომორფოლოგიური განსაკუთრებულობით გამორჩეულ კოპლექს. ოაკცეს კანიონის ბუნების ძეგლის შემადგენლობაში შედის ტბიური ნალექები, ნეოტექტონიკური სტუქტურები და თვალწარმტაცი კანიონი. ოკაცეს კანიონის სიღრმე მდინარე საწისქვილოს მიერ გამომუშავებული ზედაცარცულ კირქვებში წარმოადგენს 35-50 მეტრს ხოლო სიგანე დაახლოებით 4 მეტრს. კანიონის ზოგიერთი კედლები ერთმანეთს უერთდება და წარმოქმნის ბუნებრივ ქვახიდებს. ასეთია სახელწოდებით ,,ბოგა'', საიდანაც ძალიან კარგად ჩანს კანიონის ულამაზესი ფსკერი. (დაცული ტერიტორიების სააგენტო, 2018)

- **იაზონის მღვიმის ბუნების ძეგლი**

იაზონის მღვიმის ბუნების ძეგლი მდებარეობს ქუთაისთან ახლოს სოფელი გოდოგნის ხიდთან, მიდნარე წყალწითელას მარჯვენა სანაპიროზე, ზღვის დონიდან 135 მეტრზე. (დაცული ტერიტორიების სააგენტო ,2018)

ძეგლის ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს წყალწითელას ხეობის სამხრეთ ნაწილში მდებარე, მცირე ზომის სტალაქტიტებით, სტალაგმმიტებით, სტალაგნატებით გამორჩეული 40 მეტრი სიგრძის თაღის ფორმის შესასვლელიანი მღვიმე. მღვიმეში 10 მეტრის გავლის შემდეგ მისი სიგანე მცირდება და ხდება 2,5 მეტრამდე. სიღრმეში შესვლასთან ერთად იკლებს ჭერის სიმაღლეც, ბოლო ნაწილში ჭერის სიმაღლე 0,5 მეტრი ხდება. მღვიმის ბოლოში ჩამოშლილია ლამი და ამის გამო გადაკეტილია. აქ მოპოვებულია ცხოველთა ძვლები და ძველი საყოფაცხოვრებო იარაღები. კაის იარაღით ვიგებთ, რომ აქ პალეოლითის ხანის ადამიანს უცხოვრია. (დაცული ტერიტორიების სააგენტო ,2018)

- **აჯამეთის აღკვეთილი**

აჯამეთის აღკვეთილი მდებარეობს ქუთაისიდან 15 კილომეტრის დაშორებით ზესტაფონისა და ბაღდათის რაიონებში. 1928 წელს ქუთაისის სატყეო ნაწილში 20 ჰექტარი ნაკრძალად გამოცხადდა, 1935 წელს ბოტანიკური ნაკრძალი შეიქმნა აჯამეთის ტყის მასივის ბაზაზე. სახელმმწიფო ნაკრძალის სახით 1946 წელს ჩამოყალიბდა. მისი შექმნის მიზანს წარმოადგენდა იშვიათი სახეობების -იმერეთის მუხის და ძელქვის შენარჩუნება. აჯამეთი განთქმულია თავისი მუხნარით, რომელთა ასაკიც 250 წელზე მეტს ითვლის. აღკვეთილი შედგება აჯამეთის, ვარციხის და სვირის უბნებისაგან. (დაცული ტერიტორიების სააგენტო 2018)

აჯამეთის და მის შემოგარენს საკმაოდ კარგი პოტენციალი აქვთ ეკოტურისტული თვალსაზრისით. კულტურული ტურების გარდა აჯამეთის აღკვეთილში შესაძლოა განვითარდეს სამანქანო-სათავგადასავლო ტურები საირმისა და ზეკარის უღელტეხილების მიმართულებით, კერძოდ აბასთუმნის უბნის ტერიტორიაზე. (დაცული ტერიტორიების სააგენტო, 2018)

- **ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი**

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი მდებარეობს საქართველოს ცენტრალურ ნაწილში და ქმნის მცირე კავკასიონის მთების აღმოსავლეთ ნაწილს. მისი ფართობი არის 107,083 ჰა და შეადგებს საქართველოს ტერიტორიის 1 %-ზე მეტს. ბორჯომ-ხარაგაულის ტერიტორია იყოფა ექვს რაიონად. ესენია: ბორჯომი, ხარაგაული, ახალციხე, ადიგენი, ბაღდათი და ხაშური. ვიზიტორთა და ადმინისტრაციული ცენტერები განლაგებულია ბორჯომსა და ხარაგაულში. პარკის ადმინისტრაცია ოთხი სხვადასხვა კატეგორიის დაცულ ტერიტორიას მართავს: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს, ბორჯომის ნაკრძალს, ქცია-ტაბაწყურის, გოდერძის ნამარხის ტყის ბუნების ძეგლს და ნეძვის აღკვეთილს.

ბორჯომ-ხარაგაულის ტურისტული თვალსაზრისით გვაძლევს საშუალებას მოვაწყოთ ლაშქრობები ერთი ან მრავალდღიანი ხანგძლივობით. ტურისტული

მარშუტების სიგრძე დაახლოებით 400მ-დან 2642 მ-დეა. ტურისტული ინფრასტრუქტურა გამართულია. ბილიკები მარკირებულია და კეთილმოწყობილია. ბილიკების გასწვრივ მოწობილია საკემპინგე და საპიკნიკე ადგილები ასევე ტურისტული თავშესაფრები. აქვეა გამოყოფილი ადგილები ცეცხლის დასანთებად. ეროვნული პარკი ვიზიტორებს სთავაზობს შემდეგი სახის ტურებს: სალაშქრო, ველო, საცხენოსნო, კულტურულ და საგანმანათლებლო ტურებს. (დაცული ტერიტორიების სააგენტო ,2018)

- **სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალი**

სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალი მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლების გუმბრას, ბანოჯასა და ხომულის ტერიტორიაზე, სათაფლიის მთაზე, ზღვის დონიდან 500 მეტრზე. ნაკრძალი დაარსდა 1935 წელს და მისი ფართობი შეადგენს 330 ჰექტარს. ნაკრძალი კომპლექსური ხასიათისაა და შეიცავს პალეონტოლოგიურ, გეოლოგიურ, სპელეოლოგიურ, ბოტანიკურ და ზოოლოგიურ ძეგლებს. სათაფლიის ნაკრძალის რელიეფი მთაგორიანია, ხოლო მისი ტერიტორიის 95% დაფარულია რელიქტური, კოლხური ტიპის ტყით, რომელსაც ქმნის აქ გავრცელებული ხეთა ჯიშები: წიფელი, წაბლი, რცხილა, თელა, ბზა, ძელქვა მურყანი, ცაცხვი, მუხა, პანტა, მაჟოლო. აქ აღმოჩენილია მტაცებელი და ბალახიჭამია დინოზავრების 200-მდე ნაკვალევი, რომლებიც მერგელოვან კირქვებზეა აღბეჭდილი. (საბჭოთა ენციკოპედია ტ.8)

სათაფლიის ინფრასტრუქტურა მოიცავს: ვიზიტორთა ცენტრს, დინოზავრის ნაკვალევის საკონსერვაციო ნაგებობას, შუშის პანორამულ გადასახედს, საგამოფენო დარბაზებს, კაფეებს, სუვენირების მაღაზიებს, კეთილმოწყობილ მღვიმესა და მარკირებულ ბილიკებს. აქ ვიზიტორებს შეუძლიათ მოინახულონ დინოზავრის გაქვავებული ნაკვალევი,კლდის ბილიკი, კარსტული მღვიმე, პანორამული გადასახედები. კოლხური ტყე. (დაცული ტერიტორიების სააგენტო 2018)

1.2 იმერეთის რეგიონის ისტორიული ქალაქები და არქელოგიური ძეგლები

ქალაქი ქუთაისი

ქუთაისი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და დიდი ისტორიის მქონე ქალაქია. ქალაქის გეოგრაფიული მდებარეობა ძველთაგანვე მეტად ხელსაყრელი იყო ქალაქის წარმოშობისთვის. ადგილი სადაც, ქალაქი ჩაისახა, საქართველოს დასალვეთი რაიონების გეოგრაფიული ცენტრია და ის ამავე დროს წარმოადგენს ვაკისა და მთაგორიანი მხარეების მიჯნას. ასევე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რიონისპირას წარმოქმნილი დასახელების სწორედ იმ ზღვარზე დაარსებას, რომლის ქვემოთაც მდინარე სანაოსნო იყო, ხოლო ზემო ნაწილში იგი ტიპიური მთის მდინარეს წაროადგენდა. სანაოსნო გზა ქალაქს შავი ზღვის ნავსადგურებთან აკავშირებდა, სახმელეთო გზები კი ქვეყნის სხვადასხვა მხარეებთან. (ჯაოშვილი ვ. 1989)

უხსოვარი დროიდან გამოუყენებია ადამიანს ქუთაისი და მისი მიდამოები საცხოვრებლად. მოპოვებული არქეოლოგიური მასალების საფუძველზე დადგენილია, რომ ძველი ქვის ხანის ადამინი ცხოვრობდა ქალაქის მახობლად მდებარე ბუნებრივ გამოქვაბულებში. (ჯაოშვილი ვ. 1989)

ქუთაისი უძველეს დროშია ჩასახული და მისი ადრინდელი ისტორიის რიგი მხარე ჯერ კიდევ არაა ბოლომდე გახსნილი. ასევე მეტად ძველია თვით სახელწოდება ,,ქუთაისი'', რომლის ბერძნული მოდიფიკაციები - კუტაია, კუტაიონი, კუტატისიონი და სხვ. მოხსენებულია ანტიკური ხანის ისტორიკოსებისა და პოეტების თხზულებაში. ქუთიაისის სიძველეზე მიუთითებს არაერთი მკვლევარი. ისტორიკოსი გ.გაბუნია თვლის, რომ სახელწოდება ,,კუტაისი'' ძვ. წ. ა მე-7 საუკუნიდან. (ჯაოშვილი ვ. 1989)

ქუთაისის ადრინდელი ისტორიის უმთავრესი წყაროა ძველი წელთაღრიცხვი III საუკუნის ბერძენი პოეტის აპოლონიოს როდოსელის პოემა ,,არგონავტიკა'', რომელიც აგებულია ძველი წელთაღრიცხვით XIV-XIII ს-ში შექმნილ თქმულებაზე, ბერძენი

მეზღვაურების ხომალდ ,,არგოთი'' კოლხეთში მოგზაურობის შესახებ. აღიარებულია, რომ ეს ფართოდ ცნობილი პოპულარული თქმულება ასახავს რეალურ ამბებს.(ჯაოშვილი ვ. 1989)

ისევე როგორც, საქართველოს არაერთ ქალაქს ხანგძლივი ისტორიის მანძილზე ქუთაისსაც ქონდა აღზევებისა და დაქვეითების პერიოდები, რაც დაკავშირებული იუო, როგორც შიგა პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობასთან, ასევე მეზობელ ქვეყნებთან დამყარებულ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებასთან. ბიზანტია-სპარსეთის ხანგძლივი ომებით მიყენებული ჭრილობების შემდეგაც კი ქალაქი აღმავლობის გზით მიდიოდა. VII-VIII ს-ების ქუთაისში უკვე არის მეფეთა განძთსაცავი და იგი მოიხსენიება როგორც, ეგრისის დედაქალაქ ციხე-გოჯთან ერთად. (ჯაოშვილი ვ. 1989)

IX ს-დან ქუთაისი გადაიქცა ქართული სამეფო-სამთავროების ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანებისთვის მებრძოლ მნიშვნელოვან ცენტრად, ხოლო X ს-ში გაერთიანებული საქართველოს სამეფო ქალაქად ქითაისი დაწესდა. ამ უდიდესი მნიშვნელობის აქტის შედეგად მეტად ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ქალაქის შემდგომი განვითარებისთვის. იგი უკვე წინა აზიის ერთ-ერთი მძლავრი ფეოდალური სახელმწიფოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა, რაც თავისთავად გულისხმობდა ქალაქის ტერიტორიულ გაფართოებას, მოსახლეობის ზრდასა და ეკონომიკურ აღმავლობას. (ჯაოშვილი ვ. 1989)

დიდი თურქობის შემდეგ სატახტო ქალაქი თბილისი გახდა. ბუნებრივია შემცირდა ქუთაისის პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა, მაგრამ ამ გარემოებას არ გამოუწვევია ქალაქის დაქვეითება. (ჯაოშვილი ვ. 1989)

1259 წლიდან დასავლეთ საქართველო უკვე ცალკე სამეფოს წარმოადგენს. ქუთაისი გათავისუფლა მონღოლების ზეწოლისგან. ამ შემთხვევაში ქუთაისი უფრო კარგ მდგომარეობაში აღმოჩნდა ვიდრე თბილისი. ქვეყნის სამეფოებად დაშლის შემდეგ პოლიტიკური ერთიანობის აღდგენის იდეა ხალხში მაინც ცოცხლობდა. (ჯაოშვილი ვ. 1989)

გვიან ფეოდალური ეპოქის საქართველოს ბედუკუღმართი ისტორია ქუთაისს კიდევ უფრო მწარე ხვედრს უმზადებდა. XVI ს-ის დასაწყისიდან მეტად ფართო ხასიათი მიიღო ირანისა და ოსმალეთის აგრესიამ სახელმფიფოს წინააღმრდეგ. განსაკუთრებით ოსმალეთის გამუდმებით შემოსევებმა XVI-XVIII ს-ის მანძილზე. (ჯაოშვილი ვ. 1989)

ახალი ერა დაიწყო მას შემდეგ, რაც იმერეთი რუსეთის მფლობელობის ქვეშ შევიდა . დამთავრდა დაუსრულებელი შიდა და გარე ომების ხანგძლივი ისტორია, რომელაც კინაღამ სრულ განადგურებამდე მიიყვანა როგორც, ქუთაისი, ისე მთელი იმერეთის სამეფო. ამიერიდან უკვე შეიქმნა ქალაქის მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობა. (ჯაოშვილი ვ. 1989)

რეფორმის შემდგომ პერიოდში ქუთაისი ბევრად უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე XIX ს-ის პირველ ნახევარში. 1822-დან 1861 წ-მდე მცხოვრებთა რიცხვი დაახლოებით სამჯერ გაიზარდა, მაშინ როდესაც 1861-დან 1897 წ-მდე მოსახლეობამ მომატა 6-ჯერ და კიდე უფრო მეტად. წინსვლა გახლდათ ქალაქის სავაჭრო ფუნქციებშიც .1885 წელს ქუთაისში არსებობდა315 სავაჭრო წამოწყება და გარდა ამისა 143 პატარა სასადილო, სასაუზმე, ღვინის სავაჭრო და სხვა. (ჯაოშვილი ვ. 1989)

ქუთაისის კულტურის წინსვლის ერთ-ერთი მაჩვენებელია XIX ს-ის 80-იან წლებში აქ პერიოდული პრესის ჩასახვა. 1881წელს გამოიცა პირველი ქართული ყოველკვირეული გაზეთი ,,შრომა''. XIX ს-ის მეორე ნახევარი ქართული თეატრის აღორძინების ეპოქა იყო.XX ს-ის დასაწყისში ხშირი იყო პოლიტიკური არეულობები, დემონტრაციები და მიტინგები ქალაქში. (ჯაოშვილი ვ. 1989)

ქალაქი ვანი

ვანი არის ქალაქი იმერეთის მხარეში, ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი. მისი მთავარი ღირშესანიშნაობაა ანტიკური ნაქალაქარი, რომელიც 2007 წლის 24 ოქტომბრიდან შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში. (UNESCO 2007)

ვანის შესწავლას კარგა ხსნის ისტორია აქვს. 1840 წელს გამოჩნდა ქალაქ ვანზე პირველი ცნობები. დროდადრო ჩნდება ინფორმაცია გაზეთებშიც. გაზეთი ,,დროება'' წერს: ,,ისრე წვიმა არ მოვა, რომ ახვლედიანების კარებთან არ ჩამოიტანოს გორიდან ნიაღვარმა ხან ოქროები, ხან ოქროს ძეწკვი, ხან ბეჭდები, ხან რა და რა ნივთეულები''. ამის შესახებ ინფორმაცია სწრაფად გავრცელდა და ვანსაც შეესიენ მოყვარული არქეოლოგები. (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)

მრავალწლიანი შესწავლის შემდეგ, მოპოვებულია მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა, რომელიც ცხადყოფს ვანის , როგორც უძველესი ქალაქის მნიშვნელობას. სტრატიგრაფიული მონაცემები იძლევა საშუალებას გამოიყოს ვანში ქალაქის განვითრების ოთი პერიოდი. (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)

ეს პერიოდებია:

უძველესი პერიოდი, რომელიც მოიცავს ძვ.წ VIII-VII საუკუნეებს. ამ პერიოდს მიეკუთვნება ცენტრალურ ტერასაზე გათხრილი ცალკეული აღმოჩენები. შემდგომი პერიოდში, ვანი გვევლინება, როგორც კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ცენტრი. აქ უკვე ათისებულია მთლიანი ბორცვი და აღმოჩენილი მასალაც უფრო მრავალფეროვანი და უფრო დიდი რაოდენობისაა. (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)

მესამე პერიოდში, რომელიც მოიცავს ძვ.წ IV-მეორე ნახევარს და III საუკუნის პირველ ნახევარს, ჯერ კიდევ კოლხეთის დასუსტების პირობებში, მაინც შენარჩუნებულია დამოუკიდებლობა. აქ აღმოჩენილია მდიდრული სამარხები, თიხა-ზვინული, რიყის ქვით ნაგებობები და ა.შ.(საქართველოს ეროვნული მუზეუმი)

უკანასკნელი პერიოდი ძვ.წ III-I სს-ში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბრინჯაოს ნივთების ლოკექციას. (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)

აქ მოპოვებული მასალა დაცულია ოთრ ლორთქიფანიძის სახელობის ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში. (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)

არქეოლოგიური ძეგლები

ვანის არქეოლოგიური მუზეუმი, როგორც იმერეთის არქეოლოგიური ძეგლი გაიხსნა 1985 წლის 25 სექტემბერს აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის ინიციატივით. ამ დღეს დაემთხვა მსოფლიო არქეოლოგთა სიმპოზიუმი, რომელიც ტარდება სამ წელიწადში ერთელ. მუზეუმში განთავსებულია ბიბლიოთეკები, სხდომათა დარბაზი, სარესტავრაციო და ფონდების განყოფილებები. ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში ინახება 1985 წლიდან ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის უმეტესობა. ვანში აღმოჩენილი მდიდრული სამარხების ინვენტარის საფუძველზე 1987 წელს მუზეუმში გაიხსნა ოქროს ფონდი, რომელშიც ინახება ოქრომჭედლობის უნიკალური ნიმუშები ვანის ნაქალაქარიდან. ვანის არქეოლოგიური მუზეუმის სტაციონარული ექსპოზიცია ასახავს ვანის ტერიტორიაზე არსებული კულტურის განვითარების პერიოდს ძვ. წ. VIII ს-დან I ს-ის ჩათვლით ბრიჯნაოს ქანდაკებები, მათი ცალკეული ფრაგმენტები, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ნაკეთობანი, ნუმიზმატიკის ნიმუშები. (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)

როდოპოლისი - წარმოადგენდა ძველ, ისტორიულ ქალაქს, რომელიც მდებარეობდა დასავლეთ საქართველოში ბაღდათის ახლომახლოს. დღესდღეობით ნაქალაქარი შემორჩენილია თანამედროვე სოფელ ვარციხესთან ახლოს, ქუთაისიდან 17 კმ-ის მოშორებით ხოლო ბაღდათიდან 15 კმ-ის. როდოპოლისი მდებარეობდა ტყეებით შემორტყმულ ვაკე ადგილას, რომლის ირვგვლივ ბევრი მდინარე ჩაედინება. შუა საუკუნეებში აქ ვარციხის მიდამოებში მდებარეობდა მდებარეობდა ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი როდოპოლისი. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ვარციხეს დიდი სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. აქ გადიოდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო სავაჭრო გზა.ქალაქი პირველად მოიხსენიება VI ს-ის ბიზანტიურ წყაროებში. ეგრისის დიდი ომის დროს ქალაქი ხელიდან ხელში გადადიოდა. გვიანდელ შუა საუკუნეებშ ვარციხე იმერეთის მეფეთა ერთ-ერთი რეზიდენცია იყო.

დაზვერვითი სამუშაოები აქ დაიწყო 1968 წლიდან ხოლო ინტენსიური არქეოლოგიური გათხრები 1972 წლიდან. ამის შედეგად გამოვლინდა და აღმოჩნდა IV-VI სს კოშკებიანი გალავნებით შემორტყმული ციხე-ქალაქის კომპლექსის დიდი ნაწილი. ამ ხანაში ციხე-ქალაქი მნიშვნელოვანი გამმაგრებელი პუნქტი იყო. ამ ციხე ქალაქის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ნამოსახლარი გორა, რომელიც ხელოვნური თხრილით იყო გამაგრებული. ნამარხებში ადრინდელი ანტიკური ხანის რიყის ქვითა და კირქვით ნაგები, ხანძრით განადგურებულა შენობის ნაშთები აღმოჩნდა .ანტიკური ხანის კულტურული ფენები ვრცელდება სამოსახლოს ირგვლივ. აქ აღმოჩენილია ადგილობრივი იმპორრტული კერამიკა, ასევე ნამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს სამაჯურები, მინისებრი პასტის მძივები, წითლად გამომწვარი დოქი და ე.წ კოლხური თეთრი. (ქართული საბჭოთა ენციკოპედია ტ 8. გვ 420)

კლდეეთის სამაროვანი- ეს ძეგლი წარმოადგენს II საუკუნის არქეოლოგიურ ძეგლს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, კეერძოდ ზედა კლდეეთში. ის შემთხვევით აღმოაჩინეს 1914 წელს და ნაწილობრივ გათხარეს 1941-1942 წლებში. ქვაყრილიან ორმოსამარხებში დამარხული იყო თითო მიცვალებული, გვერძე ხელფეხმოკეცილი, თავით დასავლეთისკენ. ზოგიერთისთვის შეკაზმული ცხენები და ძაღლები ჩაუყოლებიათ. სამარხებში აღმოჩნდა მდიდრული მასალა: ჭურჭელი, იარაღი, სამკაულები, მონეტები. კლდეეთის სამაროვანში აღმოჩენილი ჭურჭელი ძირითადად იმპორტულია. პოლიქრომული სტილის ოქროს ნივთები კი ადგილობრივი უნდა იყოს. კლდეეთში დაკრძალული ჩანან ანტიკური ხანის იბერიის წარჩინებულთა წრის წარმოადგენლები. (ლომთათიძე გ. 1957)

საგვარჯილე - თერჯოლის მუნიციპალიტეტში არსბული კარსტული მღვიმე სოფელ ძევრის მახლობლად, მდინარე შავიწყლის ხეობაში. საგვაეჯილე მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლია. ამ მღვიმეს ფეოდალურ ხანაში სამალავად იყენებდნენ. საგვარჯილე გათხარეს 1951-1952 წლებში. აღმოჩენილია სხვადასხვა ძვირფასი ნივთები. (ქართული საბჭოთა ენციკოპედია ტ.8 გვ. 613-614)

საკაჟია - კარსტული მღვიმე სოფელ გოდოგნის მიდამოებში, მდინარე წყალწითელას ხეობის მარცხენა კალტაზე, 150 მ სიმაღლეზე. ეს მღვიმეც წარმოადგენს მრავალფენიან არქეოლოგიურ ძეგლს. საკაჟია ამიერკავკასიაში პირველი პალეოლითური ძეგლაია.1973 აქ აღმოაჩინეს საყოფაცხოვრებო ნივთები, ადამიანისა და ცხოველების ძვლები. (ნიორაძე მ.1974)

საჩხერის არქეოლოგიური ძეგლები - აღმოჩენილია სხვადასხვა დროის არქეოლოგიური ძეგლებ, ქალაქ საჩხერის ტერიტორიაზე და მის მიდამოებში XIX საუკუნის 70-იან წლებში. შემთხვევით აღმოაჩინეს და ყურადღება მიექცა შემდგომში 1910 წელს, როცა უკვე ჩაატარეს არქეოლოგიური გათხრები. ჩამოვთვალოთ აღმოჩენების მცირე რაოდენობა. გათხრილია და შესწავლილია ძვ. წ III ათასწლეულის ძეგლები ადგილ ნაჩერქეზევში. საჩხერის ჩრდილოეთით გათხარეს მოდინახეს ციხე. ნიშვნელოვანი აღმოჩენებია ასევე სოფელ საირხეში. სხვადასხვა დროის არქეოლოგიური ძეგლები მიკვლეულია საჩხერის.(ქართული საბჭოთა ენციკოპედია ტ. 9. გვ 212)

ოჯოლის განძი -ტყიბულის მუნიციპალიტეტში მდებარეობს, აქ აღმოჩენილია გვიანდელი ბრინჯაოს ხანის დასასრულისა და ადრინდელი რკინის ხანის ბრინჯაოს ნივთების განძი, რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა 1960 წელს სოფელ ოჯოლში. 1 მ სიმაღლეზე მიწაში დაფლულ ბრინჯაოს ჭურჭელში კოლხური კულტურისათის დამახასიათებელი ნივთები. განძის შემადგენლობაში ზოდების არსებობის გამო იგი ხელოსნის განძადაა მიჩნეული. (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტ. 7. გ. 628)

ქუთაისის არქეოლოგიური ძეგლები: ჭახათი და თთრამიწა.

თეთრამიწა ეს არის მრავალფენიანი გორანამოსახლარი რიონის მარჯვენა ნაპირზე, ქალაქ ქუთიასის ჩრდილო-დასავლეთით. აქ არქეოლოგიური ნაშთები პირველად აღმოჩნდა 1924 წელს. გათხრები მიმდინარეოვდა 1964-1966 წლებში. აღმოჩენილია კაჟის იარაღი ,იარაღთა ხელსაწყოების დიდი ნაწილი, საბრძოლო იარაღები, სამკაულები. (საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ I)

ჭახათი- პალეოლითური ხანის ნამოსახლარი დასავლეთ საქართველოში, ქ. ქუთაისის მიდამოებში მდ. წყალწითლას ხეობის მარჯვენა ნაპირზე. ნამოსახლარი აღმოაჩინეს 1955 წელს და გათხარეს 1960-1962 წლებში. აქ აღმოჩენილია სხვადასხვა ტიპის საყოფაცხოვრებო საჭრისები, დანები და ცხოველების ძვლის ნაშთები. (საბჭოთა ენციკლოპედია. ტ 11. გვ. 387)

ფარცხანაყანების სამაროვანი -ელინისრუეი ხანი სამაროვანი ტყიბულის მუნიციპალიტეტში. 1937 წელს გათხრებისშედეგად 14 ქვევრსამარხი აღმოაჩინეს. ასევე სამარხში აღმოჩნდა კოლხური ტიპის ხელადები, ქუსლიანი ჯამები, ფარაკიანი ბეჭედი, საყურეები, მონეტები. (საბჭოთა ენციკოლპედია ტ.10 გვ.285)

ჭიათურის არქეოლოგიური ძეგლები

ბეხნარი - ნამოსახლარი, რომელიც გაითხარა 1957 წელს.(საბჭოთა ენციკლოპედია ტ.2 გვ.351)

დარკვეთის ეხი - მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლია. გათხრები ჩატარდა 1968-1972 წლებში. აღმოჩენიილია ბრძოლისა და შრომის არაღები. (საბჭოთა ენციკლოპედია ტ. 3გვ.387)

თარო კლდე - გაითხარა 1971 წელს. აღმოჩენილია ქვის მრავალნაირი იარაღი, ძვლის იარაღი. (საბჭოთა ენციკლოპედია ტ.2 გვ.

კაჟები - 1957 წელს აღმოაჩინეს უშუალოდ კაჟის საბადოსთან. მასში აღმოჩნდა 2000-მდე ნივთი.(საბჭოთა ენციკლოპედია ტ.5 გვ. 390)

კაჟნარი - გათხარეს 1958 წელს. აქ ღმოჩნდა 3000 ნივთი, ძირითადად შრომის იარაღები. (საბჭოთა ენციკლოპედია ტ.5 გვ 390)

მღვიმევის მღვიმე - კარსტული გამოქვაბული სოფელ მღვიმევში გამომუშავებულია ზედა კირქვებში. 1966 წელს გაითხარა და აღმოჩნდა მატერიალური კულტურის ნივთები, ასევე ადამიანის მხატვრობის ნიმუშები. (ყიფიანი, შ. ტინტილოზოვი, ზ. 1966)

სამგლე კლდე - ძეგლი აღმოაჩინეს 1962 წელს და გათხარეს 1963-67 წლებში. მღვიმეში ფიქსირებულია 2მ სისქის 6 კულტურული ფენა. (საბჭოთა ენციკლოპედია ტ.8 გვ. 710)

სამელე კლდე - გათხრები მიმდინარეობს 1959 წლიდან. სამელე კლდე ადრინდელი ამიწათმოქმედო კულტურული ძეგლია. (საბჭოთა ენციკლოპედია ტ.8 გვ.717)

სამერცხე კლდე - მრავალფენიანი ნამოსახლარი სოფელ ზოდსა და სოფელ დარკვეთს შორის. ის მიაკვლიეს 1962 წელს და გათხარეს 1963-64 წლებში. აქ აღმოაჩინეს შრომის და საბრძოლო იარაღები. (საბჭოთა ენციკლოპედია ტ.8 გვ. 717)

სარბები - ღია ტიპის ნაბინარ-სახელოსნო. აღმოჩენილია 1958 წელს. მასალა აკრეფილია ზედაპირულად 1500-მდე სხვადასხვა ტიპის ნივთი. (საბჭოთა ენციკლოპედია ტ.9 გვ 10)

თავი II. იმერეთის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის კლასიფიკაცია

2.1. იმერეთის ეკლესია-მონასტრები და საფორტიფიკაციო ნაგებობები

მთელს მსოფლიოში პოპულარობით სარგებლობს რეგლიგიური ტურიზმი, ანუ მოგზაურობა რელიგიური მიზნებით. საქართველო ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც არ წარმოადგენს გამონაკლისს.

მსფოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მოანცემებით, საერთაშორისო ტურებიდან 2009 წელს 992 მილინი ტურისტიდან თითქმის მესამედი რელიგიური მიზნებით მოგზაურებს წარმოადგენდნენ.

რელიგიური საქართველოს მდებარეობა, თავისი სახელმფიფოებრიობის ჩამოყალიბებიბს დღიდან იქცევდა ყურადღებას ამ მხრივ.

ტურისტებისთვის მიმზიდველი სიწიმინდეები საქართველოს არაერთ კუთხეში გვხვდება, ამით შეგვიძლია ვთვათ, რომ მსოფლიოში რელიგიური ტურიზმის განვითარებაში მცირედი წვლილი საქართველოსაც შეაქვს. ისვე, როგორც სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში, საქართველოშიც ეკლესია-მონასტრები არა მხოლოდ რელიგიურ ცენტრებს წარმოადგენდნენ არამედ, ძველი კულტურის კერებსაც.

განვიხილოთ იმერეთის ყველაზე ცნობილი ეკლესია-მონასტრები.

ბაგრატის ტაძარი

ბაგრატის ტაძარი 1003 წელსაა აგებული. ის მდებარეობს მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე და ზემოდან გადაჰყურებს ქალაქ ქუთაისს. გეგმის მიხედვით, ტაძარი ოშკის ტაძრს გავს - ტრიკონქის ტიპისაა. თუმცა, ოშკისაგან განსხვავებით, ტაძარს არ აქვს დამატებითი სადგომები სამხრეთისა და ჩრდილოეთის აფსიდის ორივე მხარეს. ამიტომ ბაგრატის ტაძარში საგრძნობლად გაიზარდა შიდა სივრცე. გუმბათი ეყრდნობოდა თავისუფლად მდგომ 4 ბურჯს. ბაგრატის ტაძარში გაფართოებულია

დასავლეთის მკლავი, რომელიც 3 ნავადაა დაყოფილი. ამ ადგილას მოწყობილი იყო პატრონიკე მეფის ოჯახისთვის. დასავლეთ ფასადს ჩრდილოეთის მხრიდან ებჯინება სამსართულიანი კოშკი, რომელიც ალბათ მეფის ოჯახისთვის იყო განკუთვნილი. კოშკის ამგვარ მდებარეობას ასიმეტრია შემოაქვს ტაძრის საერთო გადაწყვეტაში, რაც მთლიან კომპოზიციას უფრო დინამიურს ხდის. თავდაპირველად ბაგრატის ტაძარს, დასავლეთ და სამხრეთ მხარეს, მთლიანი ღია თაღებიანი გალერეა გასდევდა. XI საუკუნის პირველ ნახევარში, დასავლეთისა და სამხრეთის შესასვლელის წინ აშენდა მდიდრულად გაფორმებული კარიბჭეები. ტაძარს მონუმენტური და დიდებული ხასიათი აქვს. ნაგებობის შიდა სივრცეც მეტად მრავალფეროვანია. ტაძრის ინტერიერიც და ექსტერიერიც სხვადასხვა მხრიდან სხვადასხვა ასპექტში აღიქმება. ტაძარს მდიდრულ იერს ანიჭებს და მის მოქნილობას განსაზღვრავს სარკმლებისა და კარიბჭეების რელიეფური მორთულობა და თაღები. აქ ჩვენ გვხვდება მცენარეული და ფიგურული გამოსახულებები. მდიდრული ორნამენტით იყო შემკული სვეტის თავები და ბაზები. (ხუნდაძე ნ. 2016, გვ. 26)

გელათი

X ს-ის მიწურულში გაერთიანებული ქართული ფეოდალური სახელმწიფოს შექმნის წინაპირობა იყო ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი კულტურული და ეკონომიკურ-პოლიტიკური განვითარება. XI-XII ს-ში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა სწავლა-განათლებისა და მეცნიერული მუშაობის გაფართოებას. ამ მხრივ განსაკუთრებული ღვაწლით გამოირჩევა დავით აღმაშენებელი, რომელიც უდიდეს ყურადღებას აქცევდა საქართველოს კულტურულ დაწინაურებას, მეცნიერებისა და განათლების ახალი კერების დაარსებას. ქრისტიანული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი დავით აღმაშენებელმა შექმნა გელათში, მაშინდელი დედაქალაქის, ქუთაისის სიახლოვეს. ასეთი გადაწყვეტილება გულისხმობდა იმას, რომ გელათი სამეფო ტახტის მზრუნველობის ქვეშ უნდა ყოფილიყო და მისი სიახლოვე ქუთაისთან აადვილებდა ამ ამოცანის გადაჭრას. ეს იყო გელათის აკადემია და სამონასტრო ანსამბლი. აკადემია მაშინდელ პირობებში კულტურის მნიშვნელოვან ცენტრად ითვლებოდა, სადაც თავს

იყრიდნენ სწავლულნი და ქმნიდნენ მეცნიერულ თხზულებებს, თარგმნიდნენ უცხო ენებიდან ლიტერატურას, ავრცელებდნენ სწავლა-განათლებას, აწარმოებდნენ წიგნების გადაწერას და ა.შ. ბუნებრივია, რომ ასეთი მუშაობის ფართოდ გავრცელებისთვის ყველაზე უკეთესი პირობები არსებობდა მონასტრებთან, რადგან ლიტერატურული მოღვაწეობა უმთავრესად ბერ-მონაზონთა საქმიანობას წარმოადგენდა. (ჯაოშვილი ვ. 1989, გვ. 305-306)

მოწამეთა

ქუთაისიდან რადნენიმე კილომეტრის დაშორებით, მის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს მონასტერი მოწამეთა. როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, იგი წამებულთა პატივსაცემადაა შექმნილი.

გადმოცემის თანახმად, დასავლეთ საქართველოში გადომსულ მურვანის ლაშქარს გმირულად შეებნენ თავისი რაზმით მაშინდელი ერთ-ერთი პროვინციის-არგვეთის მთავრები დავით და კონსტანტინე მხეიძეები. არაბთა მეწინავე რაზმებზე მათ გაიმარჯვეს, მაგრამ დამარცხდნენ ძირითად ლაშქართან ბრძოლაში. ტყვედ ჩავარდნილ დავით და კონსტანტინეს უარი უთქვამთ გამუსლიმანებაზე, რისთვისაც მურვან ყრუს ისინი სასტიკი წამებით დაუხოცავს ქაუთაისში, ხოლო მათი გვამები მაღალი კლდიდან რიონში გადაუყრიათ. დავით და კონსტანტინეს გვამები ღამით ამოუღიათ წყლიდან და მოწამეთის კლდის თავზე დაუმარხავთ მიწისქვეშა აკლდამაში. ეს მაღალი კლდე მდ. წყალწითელას ხეობაში გაშვერილია კონცხით ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით. XI ს-ში მეფე ბაგრატ IV-ს აქ აუგია ეკლესია, სადაც გადაუტანიათ წამებულთა ნეშტები. მონასტერი განახლდა XIX ს-ის პირველ ნახევარში. კლდეს, რომელზედაც მონასტერი მდებარეობს სამი მხრიდან ეზღუდება მდ. წყალწითელას ვიწრო და ღრმა, კანიონისებური ხეობა; მხოლოდ პატარა ყელით დაკავშირებულია დასავლეთით მდებარე მეორე კლდესთან. ამ ადგილას ადრე ასაწევი ხის ხიდი ყოფილა გადებული და შესასვლელს სპეციალური საყარაულო კოშკი იცავდა. ირგვლივ აღმართული ტყიანი კლდეების ფონზე ეს მიუვალი და მყუდრო ადგილი გამორჩეულია თავისი მშვენიერებით. (ჯაოშვილი ვ.1989, გვ. 305)

იმერეთში მოქმედი ეკლესია-მონასტრები:

ეპარქიები	ადგილმდებარეობა	ეკლესია-მონასტრები
ქუთაის-გაენათის ეპარქია	ქუთაისი, გელათი, მოწამეთა, სოფელიქვილიშორი, სოფელიზედა მესხეთი, სოფელი სორმონი	• გელათის ღვთისმშობლის შობის მონასტერი • მოწამეთას წმინდა დავითისა და კონსტანტინეს მონასტერი • ოღასყურას წმინდა თეკლას მონასტერი • ქვილიშორის წმ. გიროგის მონასტერი • ზედა მესხეთის წმ.ნინოს მონასტერი • სორმონის წმ.სამების მონასტერი
ჭიათურის და საჩხერის ეპარქია	ჭიათურა, საჩხერე, სოფელი მღვიმევი	• მღვიმევის ღვთისმშობლის შობის მონასტერი • ჯრუჭის წმ.გიორგის მონასტერი

		• კაცხის სვეტის მამათა მონასტერი
ხონის და სამტრედიის ეპარქია	ხონი სოფლიმათხოჯი,სოფელი ხალბედისეული	• მათხოჯის წმ.ნინოს მონასტერი • უძლოურის მაცხოვრის ამაღლების მონასტერი • ხონის წმ.საბა განწმენდილის მონასტერი
ვანის ბაღდათის ეპარქია	ვანი, ბაღდათი, სოფელი ობჩა	• ,,ობჩის ხოპის წმინდა გიორგის მონასტერი, • ბაღდათის წმ.თამარ მეფის მონასტერი • ვანის ყოველთა ქართველთა წმინდათა მონასტერი

წყარო: დევიძე.ე. კულტურული მემკვიდრეობა და იმერეთის ტურიზმის განვითარების პრობლემები

საფორთიფიკაციო ნაგებობები

თავდაცვის ნაგებობებს მიეკუთვნება სიმაგრეები. ასეთებია: სახელმწიფო დანიშნულების ციხეები, ფეოდალთა ციხე-დარბაზები, ციხე-გალავნები და ცალკე მდგარი კოშკები. თითოეულ მათგანს საკუთარი სახე აქვს და ამავე დროს საერთო თავის ჯგუფთან.

ციხესიმაგრეები, რომლებიც იდგნენ საზღვრებზე, მაგისტრალებზე, გზაჯვარედინებზე და საერთოდ სტრადეგიულად გამართულ ადგილებში, ქვეყნის დაცვაზე იყვნენ ორიენტირებულნი. მტრის შემოსევის დროს პირველ დარტყმას ეს ციხეები იღებდნენ, ამიტომ ციხე მტკიცე უნდა ყოფილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში მტერი ადვილად აღმოჩნდებოდა ქვეყნის შიგნით. (ზაქარაია პ. 1988, გვ 46)

იმერეთში ცნობილი ციხე-სიმაგრეები:

შორაპნის ციხე

„შორაპნის ციხე არის ანტიკური და შუა საუკუნეების ციხესიმაგრე დას. საქართველოში, ყვირილისა და ძირულის შესართავში (ახლანდ. დაბა შორაპნის ტერიტ, ზესტაფონის რ-ნი). წყაროებში პირველად მოხსენიებულია სტრაბონთან (ძვ. წ. I-ახ. წ. I სს.). ლეონტი მროველის (XI ს.) ცნობით, ციხესიმაგრე ძვ. წ. III ს. დასაწყისში ააგო ქართლის მეფე ფარნავაზ I-მა. სტრაბონისეული ცნობით, ციხესიმაგრე იმდენად დიდი იყო, რომ მასში თავისუფლად ეტეოდა ქალაქის მოსახლეობა. VI ს-ში, ირან-ბიზანტიის იმის დროს (ეგრისის დიდი ომი 542-562), შორაპნის ციხე ხელიდან ხელში გადადიოდა. გვიანდელ ეპოქაშიც ეს ციხე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო. 1730 წელს ოსმალებმა დაიკავეს; 1770 წელს მეფე სოლომონ I-მა გაათავისუფლა. შემორჩენილია შორაპნის ციხის ნანგრევები (ფართობი 0,5 ჰა-ზე მეტი). კლდეების წყობაში შეიმჩნევა რამდენიმე სამშენებლო ფენა-ანტიკურიდან გვიანდ. ფეოდ. ხანამდე.“ (საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11, გვ. 19, თბ., 1987)

VI ს-ის ბიზანტიურ წყაროებში, რომელიც ბიზანტია-ირანის ომებს უკავშირდება, მოხსენიებულია დსავლეთ საქართველოს მთავარი ციხეები. ერთ-ერთი ამ ციხეებთაგან

იყო შორაპანი. შორაპანი და სკანდე მნიშვნელოვან თავდაცვითი ფუნქციის მქონე ნაგებობებს წარმოადგენდნენ. ამ ციხეებში ომის დაწყების წინ იმპერატორმა იუსტინიანემ ლაზები შეცვალა რომის გარნიზონით, რომელმაც მალე დატოვა ეს ციხეები და ისინი სპარსელებმა დაიკავეს. 532 წლის ზავის შემდეგ, ორივე ციხე რომაელების ხელში გადავიდა, მაგრამ ლაზებმა იმის შიშით რომ სპარსელები კვლავ დაეუფლებოდნენ მათ, თვითონ დაანგრიეს ორივე ციხე. ამგვარად ეს ციხეები არსებობდა 532 წლამდე. შორაპანი ქუთაისთან ერთად იხსენიება როგორც დასავლეთ საქართველოს უძლიერესი ქალაქი. შორაპნის ციხე მდებარეობს კლდოვან ბორცვზე, ფლატე კალთებით. გალავანის სისქე 1,2 მ-ია. ის გამაგრებული იყო კონტრფორებით. ქვის წყობაში დატანებული მსხვილი აგურის ფენები ამ კედლებს IV- V საუკუნეებით ათარიღებს. ასევე შორაპანში ბევრ ადგილას აღმოჩენილია ქვის კვადრები ანტიკური პერიოდისათვის დამახასიათებელი „მერცხლის კუდის" სახის სამაგრებით. ციხეს ახლავს კამარით დახურული გვირაბი, რომელიც ციხიდან მდინარე ყვირილამდე ჩადიოდა. (ციციშვილი ირ, 1995)

სვერის ციხე

„სოფ. სვერი და ციხე მდებარეობს ქ. ჭიათურის სამხრეთით შვიდიოდე კილომეტრის დაშორებით და ადმინისტრაციულად შედის ჭიათურის რაიონში. ციხე დგას სოფლის ჩრდილო განაპირას, სვერის-ხევის მარცხენა, სამხრეთ მხარეს, ციცაბო ფერდობზე ამოზიდულ კლდეზე. კლდე წაგრძელებულია აღმოსავლეთ-დასავლეთით და გარემოსაგან მკვეთრადაა გამოყოფილი ფრიალოებით. ამ კლდეზე აგებული ციხე, რომელიც გეგმით მთლიანად კლდეს ემორჩილება და მასთანაა შეხამებულ-შერწყმული, პრაქტიკულად სრულიად მიუვალია. ციხის მიდამოებში, მის აღმოსავლეთით და დასავლეთით ოთხიოდე კმ-ზე მდინარე მოედინება ღრმა ხრამში, რომლის ჩრდილოეთ ფლატეში გამოქვაბულებია გამოკვეთილი. ხრამის სიგანე ციხესთან 200 მეტრს არ აღემატება. მდინარის კალაპოტიდან ციხემდე სიმაღლე დაახლოებით 150 მ-ია. ციხის კლდის ფრიალოების სიმაღლე სხვადასხვაა - 5-დან 20-ოდ მეტრამდე. ფრიალოებამდე

მისასვლელები კი ციცაბო აღმართებია ირგვლივ. კლდის და, მაშასადამე, ციხის ფართობი მცირეა, დაახლოებით 50X15 მ. შესასვლელი ციხეს, ჩანს, ჰქონია აღმოსავლეთით, დაბალი ფრიალოს მხარეს. ციხის კედლები ნაირადაა ნაგები. სამშენებლოდ ნახმარია: რიყის ქვა, კლდის ნაგლეჯი ქვა და გათლილი თუ ნახევრად გათლილი კვადრიბი. შეიმჩნევა, რომ სამშენებლო მასალის ეს ნაირობა სხვადასხვა სამშენებლო ფენას მიეკუთვნება. იმ კედლებში, რომლებმაც სამივე წყობა შემოგვინახა, მათი თანმიმდევრობა ქვემოდან ზემოთ ასეთია: ნახევრად გათლილი მცირე კვადრები, რიგების ჰორიზონტალობის დაცვით; შემდეგ - უფრო მოზრდილი გათლილი კვადრები და ზევით რიყისა და კლდის ნაგლეჯი ქვის ნარევი წყობა. ამ სამშენებლო წესის მონაცვლეობის მიხედვით შესაბამისად სამი დრო უნდა გამოიყოს: ადრეფეოდალური, შუაფეოდალური და გვიანფეოდალური.“(ცქიტიშვილი გ, 1970)

სკანდეს ციხე

სკანდეს ციხე მდებარეობს საქართველოში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სკანდეს ჩრდილოეთ მხარეს, მაღალ, საკმაოდ ძნელად მისასვლელ მთაზე. ციხის სიმაღლე 120 მეტრია. მას სამხრეთის მხრიდან ჩამოუდის ბერისწყაროს ღელე, ხოლო ჩრდილოეთიდან – პატარა ნკადული, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „გურამღელეს"“ ეძახის.ისტორიული წყაროები და საფორტიფიკაციო ნაგებობათა ანალიზი იმის საფუძველს იძლევა, რომ სკანდეს ციხის აგება ახ. წ. IV საუკუნით დათარიღდეს. სკანდეს ციხე ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ციხე იყო.სკანდეს ციხის შესახებ ყველაზე ადრინდელი ცნობა ეკუთვნის VI საუკუნის ბიზანტიელ ისტორიკოსს პროკოპი კესარიელს. სკანდეს ციხის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა VI საუკუნეში, როცა გამწვავდა წინააღმდეგობა ბიზანტიასა და სპარსეთს შორის და წინააღმდეგობა ომად გადაიქცა. ირანელთა მხრიდან მოსალოდნელი საფრთხისაგან თავის დასაცავად ბიზანტიამ გადაწყვიტა ეგრისის გამაგრება. იმპერატორმა ეგრისში გაგზავნა ჯარი, რომელმაც დაიკავა აქ არსებული სკანდესა და შორაპნის ციხეები. ამ ფაქტიდან კარგად ჩანს სკანდეს ციხის, როგორც

სტრატეგიული პუნქტის, დიდი მნიშვნელობა. ბიზნტიელებმა ციხის შენარჩუნება დიდი ხნით ვერ შესძლეს. (საითიძე გ. 1990)

2.2 მუზეუმები, სახლ-მუზეუმები და გალერეები

დასახელება	მუზეუმის ტიპი	ექსპონანტების რაოდენობა	ვიზიტორთა წლიური რაოდენობა
ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი	ისტორიული	200 000 მეტი	**4300**
დავითკაკაბაძისსახელობისქუთაისი სსახვითიხელოვნებისგალერეა	ხელოვნების	2838	**2600**
ქუთაისისისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი	ისტორიული		
ქუთაისის სპორტის მუზუემი	ისტორიული	1634	**220**
ქუთაისის დავით მხეიძის სახელობის ფოტო-კინო მატიანეს მუზეუმი	ხელოვნების	353	
ქუთაისის საბრძოლო დიდების ეროვნული მუზეუმი	ისტორიული	2153	**3373**
ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი (ბაღდათი)	მემორიალური	5600	**3000**
საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი	ისტორიული	4000 - ზემეტი	**5909**
გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმი	მემორიალური	7885	**4297**
კორნელი კეკელიძის მემორიალური	მემორიალური		

ხონის ისტორიული მუზეუმი	ისტორიული	20 404	**4020**
პოლიკარპე კაკაბაძის სახლ-მუზეუმი	მემორიალური	442	**625**
ირაკლი აბაშიძის სახლ-მუზეუმი (ხონი)	მემორიალური	280	**220**
ზესტაფონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	ისტორიული	8500	**278**
უშანგი ჩხეიძის სახლ - მუზეუმი (ზესტაფონი)	მემორიალური	250	**202**
ხარაგაულის ისტორიული მუზეუმი	ისტორიული	9535	**3210**
სოფლის ისტორიის მუზეუმი (ხარაგაული)	ისტორიული	**876**	
მუზეუმი (ვანი)			
ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი (სამტრედია)	მემორიალური	5 386	**2500**
გიორგი ახვლედიანის სახელობის წყალტუბოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (წყალტუბო)	მხარეთმცოდნეობის	31819	**832**
გიორგი ახვლედიანის სახლ-მუზეუმი (წყალტუბო)	მემორიალური	189	**210**
ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმი (წყალტუბო)	მემორიალური	361	**421**
შალვა და პეტრე ამირანაშვილების სახლ-მუზეუმი (თერჯოლა)	მემორიალური	342	**120**
დავით და სერგო კლდიაშვილების სახლ-მუზეუმი (თერჯოლა)	მემორიალური	635	**1440**
ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	ისტორიული	16 292	**1000**
გიორგი წერეთლის სახლ-მუზეუმი (ჭიათურა)	მემორიალური	533	**200**
ალპინისტ და-ძმა ჯაფარიძეების სახლ-მუზეუმი (ჭიათურა)	მემორიალური	279	**180**
საჩხერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	ისტორიული	10 862	**361**
აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი (საჩხერე)	მემორიალური	7294	**7924**

წყარო: (საქართველოს ეროვნული მუზეუმი http://museum.ge

მოცემული ცხრილი იმერეთში არსებული მუზეუმებზე გვაძლევს ინფორმაციას. აქ არის 14 მემორიალური მუზეუმი, 10 ისტორიული, 2 ხელოვნების მუზეუმი. მუზეუმებში ვიზიტორთა საერთო რაოდენობა აღემატება 28 ათასს. ექსპონატების საერთო რაოდენობა კი 350 ათასს აღწევს. (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)

თავი III. იმერეთის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის გამოყენება ტურისტული მიზნებით

3.1 კულტურული ტურიზმის განვითარება იმერეთის რეგიონში

რა არის კულტურული ტურიზმი? კულტურული ტურიზმი , როგორც ზოგადი ტერმინი ფართოდ გამოიყენება, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების, ხელოვნების, ინდუსტიის, ტრადიციებისა , გასართობი ღონისძიებების ტურიზმისა და ცხოვრების სტილის აღსაწერად. (იმერეთში ტურიზმის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია, 2012)

,,XX საუკუნის 80-იანი წლებიდან კულტურული ტურიზმი ხასიათდება სწრაფი განვითარებით, რაც გამოწვეულია ერთი მხრივ საერთაშორისო კონფერენციებისა და კონგრესების ხშირი ორგანიზებით, მეორეს მხრივ კი, ტურიზმში მეცნიერული კვლევების შედეგად გაკეთებული რეკომენდაციების დანერგვით, სამოგზაურო თემატიკის დახვეწით და მისი დაახლოებით მომხმარებელთა მოთხოვნებთან. ტუროპერატორთან წინადადებები უფრო მეტად განაპირობა ცალკეული ატრაქციების მიმზიდველობამ. ამირომ ევროპის წამყავნი ქვეყნების სახელმწიფო პოლიტიკა ითვალისწინებდა ატრაქციების ინფრასტრუქტურის განმტკიცებას, რის გამოც შესამჩნევად გაიზარდა ევროპაში მუზეუმების რიცხვი. ამას მოჰყვა დამთვალიერებელთა რიცხვის ზრდა.'' (კვარაცხელია,2009)

ტურიზმში ატრაქციები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ყველა დონეზე. კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმი არის ყველაზე მზარდი სეგმენტი ტურიზმის ინდუსტიაში, ტურისტების რაოდენობის ზრდას იწვევს მათი დაინტერესება ქვეყნის კულტურით, ისტორიით, თავგადასავლებით, არქეოლოგიით და ინტერკულტურული ურთიერთობებით.

კულტურულ ტურიზმს ბევრი დადებითი თისება აქვს. ის იცავს კულტურულ მემკვიდრეობას, აქვს დადებითი სოციალური და ეკონომიკური ზეგავლენა, ხელს უწყობს ხალხს შორის ჰარმონიას, ურთიერთგაგებას. ამასთანავე აახლებს ტურიზმს და ეხმარება კულტურას.

იმერეთის რეგიონს აქვს საკმაოდ დიდი რესურსი იმისა ,რომ კულტურული ტურიზმი თამამად იქცეს რეგიონის ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ წამყვან სექტორად. ამას ადასტურებს იმერეთში ,,Innovative Turism Advisors''-ის მიერ ჩატარებული კვლევა, სადაც კვლევის გაანალიზების შემდეგ გამოაშკარავდა იმერეთში არსებული პრიორიტეტული ტურიზმის სახეობები. ამ პრიორიტეტულ სექტორებს შორის მოწინავე ადგილს იკავებს სწორედ კულტურული სექტორი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, საერთო ჯამში იმერეთში იკვეთება ტურისტების რაოდენობის მატების ტენდენცია . იმერეთში ჩასული ვიზიტორთა საერთო რაოდენობის სტატისტიკური მონაცემები ასეთია: 2015 წელს - 217, 1 ათასი, 2016 წელს - 223 ათასი, 2017 წელს 196 ათასი ხოლო 2018 წელს 198,9 ათასი ადამიანი. ამ მონაცემებით კარგად ჩანს, როგორ იმატებს ტურისტების რაოდენობა იმერეთში, მცირე კლების მიუხედავად. უცხოელი ტურისტების რაოდენობა იმერეთში მოგზაურობის მიზნის მიხედვით 2015 წლიდან 2018 წლის ჩათვლით საგრძნობლად იმეტაბს. 2015 – 31,4 %. 2016 – 33,9 %. 2017 -37,7 %. 2018 – 42,7 %. ადგილობრივი ვიზიტორების რაოდენობა იმერეთის რეგიონის მიმართ ასეთია 2015 – 7,6 %. 2016 – 9,0 %. 2017 – 9,9 %. 2018 – 9,1. მართალია ბოლო მაჩვენებელში კლების ტენდენცია შეიმჩნევა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ფაქტორები იმისა, რომ შიდა ტურისტების აღრიცხვა არ ხდება სიზუსტით. ეხლა განვიხილოთ მეორე მაჩვენებელი, რომელიც გვაჩვენებს ტურისტების განაწილებას რეგიონების მიხედვით. იმერეთის მაჩვენებელს უცხოელი ტურისტების შემთხვევაში 2015-2017 წლის ჩათვლით მატების ტენდენცია შეინიშნება გარდა 2018 წლისა, სადაც ძალიან უმნიშვნელო კლებაა. საქართველოს რეზიდენტ ვიზიტორების და მათ მიერ საქართველოში ,იმერეთში განხორციელებული ვიზიტთა საშუალო მაჩვენებელი 2015-

2018 წლის ჩათვლით კლების მაჩვენებლით გამოირჩევა. ესეც რა , თქმა უნდა დაუზუსტებელია ინფორმაციაა. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018)

კულტურული ტურიზმის განვითარებისთვის ხელშემწყობი ფაქტორები:

- ყოველწლიური ფესტივალების, ღონისძიებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. ასეთი ღონისძიებების გამეორებადი და ტრადიციული ხასიათის მიცემა. ამით გაუადვილებს ტუროპერატორებს ტურისტული სერვისების დაგეგმვას და ხელს შეუწყობს ფორმალური და არაფორმალური ურთიერთობების დაახლოების პროცესს. (დევიძე ე. კულტურული მემკვიდრეობა და იმერეთის ტურიზმის განვითარების პრობლემები, 2012)
- იმისათვის ,რომ ისტორიის კვალი შემოვინახოთ და საუკუნეებს გადავცეთ, რომელიც ასე სჭირდება რეგიონს, ამისათვის ადგილობრივმა მოსახლეობამ შემოქმედებითი ძალები უნდა მიკრიბოს. კულტურული მემკვიდრეობა ეს არის ურთიერთობის გასაღები სხვა ხალებთან. მუდმივი დიალოგი კულტურებსა და ცივილიზაციებს შორის. (დევიძე ე. 2012)
- კულტურული მემკვიდრეობის პროგრამის ძირითადი მოთხოვნაა ხმამაღლა თქვას და მოუწოდოს, რომ ტურიზმი არ ანადგურებს იმას რაც, ტურისტებს ასე ძალიან უყვართ- რეგიონის მთავარ ღირებულებებს. ტურიზმსაც,როგორც ძალიან სწარაფად მზარდ ინდუსრიას მასაც აქვს მოთხოვნები- მიუხედავად იმისა, რომ სუფთა ინდუსტიად ითვლება. მას აქვს მოთხოვნები გზებზე, წყალზე და ა.შ. (დევიძე ე.2012)
- მოთხოვნა არ გამომდინარეობს მხოლოდ ვიზიტორებისგან. ის გამომდინარეობს ვიზიტოის მოლოდინებიდან. სტუმარი ყოველთვის ელის ხარისხიან და ადეკვატურ მომსახურებას. (დევიძე ე. 2012)

- ტურიზმი ხასიათით მოსმსახურების ინდუსტრიაა და მთლიანად ეყრდნობა ადამიანების სამუშაო ტიპს, კომპეტენციას და ადგილმდებარეობას. (დევიძე ე. 2012)
- ტურიზმის განვითარებას საქართველოსთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, არა მხოლოდ სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით არამედ ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიო პოპულარიზაციის და სახლმწიფოსა, ერის ისტორიის თვითმყოფადობის ცნობადობის ამაღლებაში. (დევიძე ე. 2012)

- შეიქმნას ტურიზმმცოდნეობის სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრი, სადაც გადამზადდებიან და კვალიფიკაციას აიმაღლებენ ტურიზმში მომსახურე პირები. (დევიძე ე. 2012)

- ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასთან ერთად, უნდა მოხდეს არსებული საგანძურის დაცვა და მოფრთხილება, სპეციალური ღონისძიებების გატარების გზით. (დევიძე ე. 2012)

- ტურისტული მიმზიდველობა გამოიხატება სრულფასოვანი ტურისტული მომსახურების შეთავაზებაში. ისტორიული და კულტურული ძეგლების ნახვასთან ერთად უნდა მოიცავდეს სრულფასოვან მომსახურებას. ტრანსპორტი, კვება, სასტუმრო, რეკლამა, ტუსისტული სააგენტოების გამართულობა და ა.შ (დევიძე ე. 2012)

- დადგინდეს და მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ობიექტის სტატუსი კონკეტულ ობიექტებს და განისაზღვროს ექსპლუატაციის რეგლამენტი. (დევიძე ე. 2012)

- მრავალფეროვანი ტურების დამუშავება და სიახლეებიის შემოტანა, ექსლუზიური ტურების შექმნა. (დევიძე ე. 2012)

- იმერეთის რეკლამირება და მეტი ყურადღების გამახვილება იმერეთის სიმდიდრეზე, ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობაზე. (დევიძე ე. 2012)

- ტურისტული ინფრასტრუქტურისთის დამატებითი ინვესტიციების მოძიება. (დევიძე ე. 2012)

- იმერეთის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ვებ გვერდის შემქმნა და მასზე ყველა მნიშვნელოვანი ძეგლის დატანა. (დევიძე ე. 2012)

- ძალისხმევის გაერთიანება როგორც ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ასევე სახელმწიფოს, ადგილობრივი თვითმმართველობის და ტურისტული სააგენტოების მხრიდან. (დევიძე ე. 2012)

3.2 იმერეთის კულტურული მემკვიდრეობის გამოყენება ტურისტული მიზნებით

სამაგისტრო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩატარდა საველე კვლევა, რომელსაც ჰქონდა სიღრმისეული ინტერვიუების სახით. კვლევის მიზნიდან გამომდინარე გამოიკითხა 6 ტურისტული კომპანიის წარმომადგენელი და ორი დამოუკიდებელი გიდი. არჩევანის შეჩერება ტურისტულ სააგენტოებსა და დამოუკიდებელ გიდებზე განაპირობა იმან ,რომ თვალსაჩინო გამხდარიყო იმერეთის კულტურული ძეგლების გამოყენების მდგომარეობა. კითხვარი შედგენილი იყო ისე, რომ მკაფიოდ მომხდარიყო კულტურული მემკვიდრეობის შესაძლო ტურისტული მიზნებით გამოყენების საქმეში არსებული გამოწვევების, პერსპექტივებისა და არსებული რეალობის იდენტიფიცირება.

ტურისტული კომპანიების მიერ დასახელებული მონაცმემებით 2018 წელს საქართველოში ჩატარებული ტურებიდან იმერეთის ტურების რაოდენობა თითოეული სააგენტოში არ აღემატება 33%-ს. ტურისტული კომპანია ,,Ok Travel''-ის მონაცემებით, საქართველოში დაგეგმილი ტურებიდან 25% განხორციელდა იმერეთში; ,,Tegeta ,,Travel''- ის მონაცემებით 20 %; ,,I am Georgia ''-ის მონაცემებით -33%; „Good Travel"- 10%; ,,Target Travel'' -31%; ,,Georgian Tours'' -30 %. საშუალო მაჩვენებელი კი დაახლოებით 25 %-მდე აღწევს.

1. იმერეთი საქართველოს მაშტაბით მონახულებად რეგიონებსა და ადგილებს შორის მე-5-6 ადგილს იკავებს. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ იმერეთის რეგიონზე მეტად ტურისტებისა და ვიზიტორებისთვის მიმზიდველია საზღვაო და სამთო ტერიტორიები. განსაკუთრებით მოთხოვნადია ისეთი დესტინაციები, როგორიცაა ყაზბეგი, სვანეთი, აჭარის საზღვაო საკურორტო ტერიტორიები და სხვა. გარდა ამისა, კვლევის შედეგებმის ანალიზით გამოვლინდა, რომ ტურისტები ძირითად უპირატესობას არა კულტურულ, არამედ 3S ტიპისა და ეკოტურიზმს ანიჭებენ. (იხ.ცხრილი #2)

OK Travel	Tegeta Travel	I'm Georgia	Good Travel	Target Travel	Georgian Tours
1. ყაზბეგი 2. სვანეთი 3. ხევი 4. აჭარა 5. იმერეთი	1.სვანეთი 2.აჭარა 3.გურია 4.ყაზბეგი 5.ხევი 6.იმერეთი	1.ხევსურეთი 2.ყაზბეგი 3.ბათუმი 4.სვანეთი 5.თუშეთი 6.იმერეთი	1. სვანეთი 2. ყაზბეგი 3. თუშეთი 4. ხევსურეთი 5. იმერეთი	1.ბათუმი 2.გუდაური 3.ბორჯომი 4.თბილისი 5.ლოპოტა 6.იმერეთი	1. თბილისი 2. მცხეთა-მთიანეთი 3. ყაზბეგი 4. კახეთი 5. აჭარა 6. იმერეთი

ერთ-ერთ კვლევითი კომპანია დროგამოშვებით ატარებს კვლევებს , იმერეთის ტურისტული პოტენციალის შესახებ.THR -Innovative Tourism Advisors კვლევის მიხედვით იმერეთის რეგიონს არ აქვს განმასხვავებელი ნიშანი, ისეთი როგორიც აქვს სამცხე-ჯავახეთს -ვარძია, თუშეთსა და სვანეთს განსაკუთრებული ლანდშაფტი და ბუნება. ჩვენი კვლევიდანაც გამოჩნდა ზოგიერთი რეგიონის განმასხვავებელი ნიშნის არსებობა. მცხეთა-მთიანეთის ყაზბეგი ,ერთ ჩამონათვალში ტურისტული კომპანიები ასახელებ ყაზბეგს და ხევს ცალ-ცალკე მონახულებად რეგიონებად. მაგალითად, ლოპოტას დამოუკიდებელ დესტინაციად/ადგილად და არა კახეთს. ამიტომ იგი განიცდის ძლიერ კონკურენციას სხვა რეგიონების მხრიდან. თუმცა, როგორც ზემოთ ვახსენეთ, იმერეთი მაინც იკავებს ყველაზე მონახულებად რეგიონებს შორის მე-5-6 ადგილს. რაც შესაძლოა ნამდვილად არ განვიხილოთ როგორც ცუდი მაჩვენებლი, თუ გავითვალისწინებთ იმას რომ სართველოში 12 სამხარეო რეგიონია, რომელიც თავის მხრივ ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებად იყოფა. თუმცა, იმერეთის შემთხვევაში, რომელიც გამორჩეულია კულტურული მემკვიდრეობის სიმრავლით, აღნიშნული

მაჩვენებელი არასახარბიელოა. რაც შეეხება მიზეზებს იმისა, რომ რეგიონი არ არის წამყვანი ზემოთ ჩამოთვლილი უპირატესობების მიუხედავად, კვლევის შედეგად გამოიყო ორი ძირითადი მიზეზი:

- ისტორიულ-კულტუტული ძეგლებისადმი ვიზიტორების ნაკლები დაინტერესება - როგორც გამოკითხული კომპანიების წარმომადგენლებმა მიუთითეს, წლიდან წლამდე მცირდება იმ ვიზიტორთა რაოდენობა, ვინც ცალკე ტურს ითხოვს კულტურული მემკვიდრეობის მონახულებისთვის. ამ ტენდენციის კვალდაკვალ ბოლო რამდენიმე წელში განსაკუთრებით იმატა ბუნების ძეგლებისა და სათავგადასავლო ტურებით დაინტერესებული ადამიანების რიცხვმა;
- კულტურული მემკვიდრეობით გამორჩეული სხვა რეგიონების კონკურენტული უპირატესობა - როგორც გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავდა, კულტურული ტურები ცალკე შეთავაზებაში თითქმის არც ერთ სააგენტოს არ აქვს, თუმცა ისინი კლიენტებს სთავაზობენ ისეთი ობიექტების მონახულებას, რომელიც მათი დაყოვნების ადგილის სიახლოვესაა. იქიდან გამომდინარე, რომ გამოკითხული კომპანიების კლიენტების დაყოვნების ადგილი ძირითადად ტურის სიახლოვესაა, მათი ინტერესის სფეროში ნაკლებად ექცევა იმერეთი. თბილისში დარჩენილი სტუმრებისთვის კონკურენტული უპირატესობა მცხეთასა და კახეთს გააჩნია, რადგან კომპანიები სწორედ ამ ლოკაციებს სთავაზობენ კლიენტებს. საზღვაო ტერიტორიების შემთხვევაში კი ასეთი შეიძლება იყოს აჭარისა და გურიის კულტურის ძეგლები.

მიუხედავად ამისა, იმერეთი ჯერჯეროვბით მაინც რჩება ტურისტებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ობიექტად. განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი შეიძლება იყოს იმერეთის გეოგრაფიულად სტრატეგიული მდებარეობა. იგი მდებარეობს ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში და აკავშირირებს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს. ამიტომ ტურისტი, რომლიც მოგზაურობს დასავლეთში აუცილებლად გაივლის იმერეთს.

უფრო ხშირად დამოუკიდებელი გიდები აწყობენ ტურებს დასავლეთს საქართველოში იმერეთის რეგიონის გავლით, რომლიც შეიძლება იყოს, როგორც ერთდღიანი ასევე ორდღიანი. ერთ-ერთი გიდი ასახელებს შემდეგ ერთდღიან ტურს: ქუთაისი-ბაგრატი-გელათი-სალხინო-მარტვილის მონასტერი. ასევე რამდენიმე დღიანი ტურებს ქუთაისა და სვანეთში (ღამისთევა ქუთაისში).

ტურისტული სააგენტოების მარშუტებში ხშირად შედის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. შეიძლება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ იყოს ერთადერთი, რასაც სთავაზობს კომპანია მომხმარებელს, მაგრამ ბუნებრივ ძეგლებთან ერთად ის აუცილებლად შედის ტურისტულ მარშუტებში. მიუხედავად ამისა გამოიკვეთა ტურისტული სააგენტოები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან მხოლოდ ბუნებრივ ძეგლებზე და კურორტებზე. დასმულ კითხვაზე ყველაზე ხშირად რომელი ტურისტული ობიექტების მონახულებას სთავაზობს ვიზიტორებს სააგენტო, მივიღე თითქმის ერთგვაროვანი პასუხები.

გარდა ამისა, ტურისტებისთვის საინტერესო ობიექტების იდენტიფიცირებისთვის და მაქსიმალურად ობიექტური სურათის მიღებისთვის, ერთ-ერთ ინტერნეტ წყაროში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით არჩეულ იქნა 15 ტურისტული კომპანიის მიერ შემოთავაზებული ისეთი ტური, სადაც იმერეთის რეგიონის ობიექტები ხვდება. როგორც აღმოჩნდა, გამოკითხული კომპანიების და ინტერნეტში მოძიებული ტურების შეთავაზებული ობიექტები ძირითადად ემთხვევა ერთმანეთს და ამ ობიექტების ხუთეული გამოიყურება ასე:

1. პრომეთეს მღვიმე;
2. ოკაცეს კანიონი;
3. სათაფლია;
4. ბაგრატი და გელათი;
5. გეგუთის ციხე და ვარციხე.

გარდა ამისა, კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ერთგვარი ,,დაქსაქსულობა'' გამოიკვეთა. იგულისხმება, რომ ხშირი იყო შემთხვევები, როცა

მხოლოდ თითო კომპანიები გვთავაზობდნენ შედარებით უცნობ ობიექტებს. ასეთი ობიექტებია ტაბაკინის მონასტერი, სოფელი ხანი - 12 მოციქულის ეკლესია, გოგნი - წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, სოფელი ჭყვიში - გალაკტიონის და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმები.

OK Travel	Tegeta Travel	I'm Georgia	Good Travel	Target Travel	Georgian Tours
ეკლესია-მონასტრები, ბუნებრივი ძეგლები	კურორტები	ეკლესია-მონასტრები, ბუნებრივი ძეგლები	ბუნებრივი ძეგლები	ბუნებრივი ძეგლები, კურორტები	ეკლესია-მონასტერები, ბუნებრივი ძეგლები
გეგუთის ციხე ბაგრატი საირმე მოწამეთა სათაფლია ვანის ნაქალაქარი კაცხის მონასტერი გელათი	სათაფლია საირმე	სათაფლია გელათი ბაგრატი მოწამეთა	სათაფლია გელათი მოწამეთა ბაგრატი	პრომეთეს მღვიმე სათაფლია ოკაცეს კანიონი	ბაგრატი გელათი მოწამეთა პრომეთე სათაფლია კაცხის მონასტერი

მიღებული მონაცემებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმერეთის ტურისტული განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს კულტურულ-ისტორიულ ძეგლებს, განსაკუთრებით ეკლესია- მონასტრებს. გამოირჩევა ბაგრატი, გელათი, მოწამეთა. ამ სამეულიდან კი ბაგრატი და გელათი შედის ყველა იმ კომპანიის ტურისტულ მარშუტებში, რომლებიც მომხმარებლებს სთავაზობენ ისტორიულ-კულტურული ძეგლების მონახულებას. 2012 წლის ,,THR -Innovative Tourism Advisors"-

ის კვლევის თანახად გელათი და ბაგრატი, ქუთაისთან ერთად შეყვანილია ყველა ტურში. ,,ამავე კვლევის თანახმად ძირითადი მიზეზები, რომლებიც ამართლებს ტურ-ოპერატორების საქმიანობას იმერეთში არის : 1.კულტურული ძეგლების მნიშვნელობა და 2. ტრანზიტული ქალაქის ფუნქცია“ (THR -Innovative Tourism Advisors)

ვინაიდან კიდევ ერთხელ შევეხეთ ტრანზიტულ ქალაქს, განვიხილოთ იმერეთის სასტუმროების მნიშვნელობა დასავლეთ საქართველოს რამდენიმე დღიან ტურებში, სადაც ერთ ღამეს მაინც ათევენ იმერეთში, უმეტეს შემთხვევაში ქუთაისში. 2012 წლის ,,THR -Innovative Tourism Advisors“-ის კვლევის მონაცემებით იმერეთი დიდი ზომის სამ ვარსკვლავიანი სასტუმროების არ არსებობას განიცდის. თუმცა დღესდღეობით უკვე იმერეთში არის ბევრი სამ ვარსკვლავიანი სასტუმრო და საოჯახო ტიპის სასტუმროები, სადაც ტურისტებს შეუძლიათ კომფორტულად განთავსდნენ. ,,Target Travel“-ის ფავორიტი სასტუმროა სამ ვარსკვლავიანი „West Tower“-ი. ტურისტული სააგენტო ,,Georgian Tours“ კი უპირატესობას საოჯახო ტიპის სასტუმროებს ანიჭებს. კერძო გიდები ასახელებენ Best Western Kutais-ს.

დასავლეთ საქართველოში რამოდენიმე დღიან ტურებს იმერეთის გავლით უფრო მეტად აწყობენ დამოუკიდებელი გიდები. აქედან გამომდინარე მუზეუმების მონახულება შესახებ ინფორმაციას ვღებულობთ კერძო გიდებისგან. ქუთაისში გაჩერებისას ხდება მუზეუმების და გალერეების მონახულება. მსგავს ინფორმაციას მუზეუმების მონახულების შესახებ, ტურისტული სააგენტოდან გვაწვდის ,,Target Travel”-ი, რომელიც ორდღიან ტურებს აწყობს იმერეთში.

გარდა ამისა, გამოკითხულ კომპანიებსა და გიდებს ვთხოვეთ, დაესახელებინათ ძირითადი პრობლემები, რასაც ისინი ხედავენ იმერეთის ტურიზმის განვითარებისა და რეგიონის, როგორც მათთვის საკვანძო მნიშვნელობის ადგილად ჩამოყალიბების საქმეში. შედეგების ანალიზით შესაძლოა მოვახდინოთ შემდეგი პრობლემების იდენტიფიცირება:

- სატრანსპორტო მისადგომობა - ბოლო რამდენიმე წელია, მას შემდეგ რაც იმერეთის სხვადასხვა ცენტრალურ რაიონებს გვერდს უვლის აღმოსავლეთ-

დასავლეთის დამაკავშირებელი გზა და გადის ავტობანი, ტურისტული კომპანიების თქმით, აღნიშნულმა მნიშვნელოვნად შეამცირა ტურის ფარგლებში იმერეთს ობიექტებში შევლის სიხშირე. განსაკუთრებით, აღნიშნული ეხება საზღვაო კურორტებისა და სვანეთის ტერიტორიაზე მიმავალ ვიზიტორებს;

- შესაძლო მოასანახულებელ ობიექტებს შორის სიახლის არარსებობა - გამოკითხულთა განცხადებით, ისინი ვერ ხედავენ რაიმე ნიშას, განსაკუთრებულს რის გამოც შესაძლებელია იმერეთი მოხვდეს მათ ტურში ან რეგიონმა მოახდინოს ტურისტების დაინტერესება. თუმცა, აქვე აღნიშნავენ, რომ ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანია ბუნების ძეგლების განვითარება (ოკაცეს კანიონი, მღვიმეები), რომლებიც, კომპანიების წარმომადგენელთა განცხადებით, შესაძლოა წარმოადგენდნენ პერსპექტიულ დესტინაციებს;
- განთავსების საშუალებების სიმცირე და მათში მომსახურების დაბალი ხარისხი- გამოკითხულები დანანებით აღნიშნავენ, რომ მიუხედავად იმერეთში ბოლო წლებში გამოცოცხლებული ეკონომიკური, პოლიტიკური თუ საგანმანათლებლო სიტუაციისა, დღემდე მაინც ვერ გაიზარდა განთავსების საშუალებები იმ მასშტაბით და ხარისხით, რომ კომპანიებმა შეძლონ აღნიშნულში დაყოვნება შესთავაზონ კლიენტებს.

გარდა პრობლემებისა, კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი ეხებოდა იმერეთის რეგიონის შესაძლებლობების, აქ არსებული კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის მიზნით გამოყენების პერსპექტივებს. როგორც გამოკითხული კომპანიები აღნიშნავენ, რეალურად, მიუხედავად ზემოთ აღნიშნული პრობლემებისა, იმერეთის რეგიონს აქვს ერთ-ერთი ყველაზე დიდი შანსი და რესურსი სხვა რეგიონებთან შედარებით, გახდეს ტურიზმის სხვადასხვა სახეობების ცენტრი ქვეყნის მასშტაბით. პოტენციელზე საუბრისას, გამოვლინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომელიც მსგავსი იყო გამოკითხულთა ძირითად ნაწილს შორის.

კომპანიების წარმომადგენლებმა და გიდებმა აღნიშნეს, რომ ტურისტული ობიექტების მრავალფეროვნება წარმოადგენს ძირითად გასაღებს რეგიონისთვის, გახდეს ტურიზმის

სექტორის მთავარი ცენტრი ქვეყნის მასშტაბით. აქვე აღინიშნა ისიც, რომ დღეისთვის იმატებს ეკოტურისტებისა და ბუნების ძეგლებით დაინტერესებული ტურისტების რაოდენობა. ამ მიმართულებით, როგორც ზემოთაც გამოჩნდა, იმერეთი გამორჩეულია. თუმცა, აღნიშნული ნაკლებადაა ჩვენი კვლევის ინტერესის სფერო, ამიტომ დამაზუსტებელ კითხვაში, თუ რა პერსპექტივები აქვს კულტურულ ტურიზმს რეგიონში, ისინი აცხადებდნენ, რომ ტურიზმის აღნიშნული ფორმა შესაძლებელია განვითარდეს ეკოტურიზმისა და სათავგადასავლო ტურიზმის პარალელურად. კერძოდ, მნიშვნელოვანი ნაწილი გამოკითხულებისა აღნიშნავდა, რომ რეგიონული ტურიზმის განვითარებისას ერთ-ერთი სახეობის განვითარება აუცილებლად გამოიწვევს სექტორის სხვა სახეობების გამოცოცხლებასაც და ამ პროცეს ერთგვარი ჯაჭვური ხასიათი ექნება.

გარდა ამისა, პერსპექტივებზე საუბრისას კომპანიების ნაწილი საუბრობდა იმაზე, რომ სახელმწიფომ აუცილებლად უნდა მოახდინოს მარკეტინგული კვლევა და შემდგომში რეგიონის საერთაშორისო ბაზარზე რეკლამირება, გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მოწესრიგდეს ტურისტული ინფრასტრუქტურა და საბოლოო ჯამში, გამოსწორდეს ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები.

კვლევის ამ ნაწილის ანალიზით მივდივართ დასკვნამდე, რომ ***იმერეთში ტურიზმის განვითარებას მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორები გააჩნია, თუმცა კომპლექსური მიდგომის შემთხვევაში, შესაძლებელია ამ ფაქტორების ანულირება და შესაბამისად, დიდია პერსპექტივები, რეგიონი გახდეს ტურიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი საქართველოს მასშტაბით.***

დასკვნა

ნაშრომის დასასრულს, დასკვნის სახით, შეგვიძლია განვიხილოთ ის ძირითადი ინფორმაცია, რაზეც ამ ნაშრომში მიმდინარეობდა მსჯელობა. ასევე , ვისაუბროთ მთავარ გამოკვეთილ ტენდენციებსა და გარემოებებზე, რომელიც ვლინდება ტურიზმის განვითარების კვალდაკვალ იმერეთის რეგიონში.

სამაგისტრო ნაშრომის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა, შეგვესწავლა მხარის კულტურული მემკვიდრეობა. როგორც ***გამოჩნდა, იმერეთი გამორჩეულია ამ ტიპის ძეგლების მრავალფეროვნებით.*** შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით დიდია განვითარების პერსპექტივები. გარდა ამისა, ნაშრომის პირველ ნაწილში განხილული ძეგლების შესახებ ინფორმაცია დაგვეხმარა შემდგომში, საველე კვლევის შესაბამისი მიმართულების მიცემაში. ეს იყო კითხვარების შედგენა, სამიზნე ობიექტებისა და გამოსაკითხი ჯგუფების განსაზღვრა.

მეცნიერული თვალსაზრისით, ნაშრომის მთავარი ღირებულება აქ არსებული საველე კვლევის ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაციაა. დასკვნის სახით, მოკლედ შეგვიძლია შევაჯამოთ ის შედეგები, რაც ამ კვლევამ მოგვიტანა საკითხის შესწავლისას:

- ✓ როგორც აღმოჩნდა, იმერეთის რეგიონი, მიუხედავად მისი მრავალფეროვანი ტურისტული რესურსებისა, ***არ წარმოადგენს წამყვან რეგიონს ტურიზმის სექტორისათვის ქვეყანაში*** - ამის მიზეზად რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი სახელდება, მათ შორის ის პრობლემები, რომელთა შესახებაც საუბარია ტექსტის მეორე ნაწილში;
- ✓ კვლევამ გამოავლინა ის ***ძირითადი გარემოებები, რაც იწვევს ტურიზმის განვითარების შეფერხებას და პირიქით, რა ხდება ამ განვითარების მასტიმულირებელი ფაქტორი.*** შემაფერხებელ ფაქტორებს წარმოადგენენ განთავსების საშუალებების სიმცირე, ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, ტრანსპორტის საკითხი და სხვა. ამის საპირისპიროდ, მასტიმულირებელ ფაქტორებად შეიძლება მივიჩნიოთ ტურიზმის სექტორის შესაძლო განვითარების

მრავალფეროვნება. კულტურული მემკვიდრეობის გარდა, აქ გვხვდება ისეთი ტიპის ტურისტული ობიექტები, როგორიცაა, ეკოტურიზმის, სათავგადასავლო ტურიზმის და სხვა ტიპის ცენტრები.

- ✓ კვლევამ გამოავლინა მნიშვნელოვანი პოტენციალი იმერეთის რეგიონში ტურიზმის განვითარებისა. კერძოდ, პირველ ნაწილში განხილული ინფორმაციისა და საველე კვლევის შედეგების შეჯერების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ***რეგიონში სექტორის განვითარებას დიდი პოტენციალი აქვს და მომავალში ტურიზმი შესაძლოა მთავარ ეკონომიკურ სექტორადაც იქცეს იმერეთისთვის.*** ამისთვის კი საჭიროა კომპლექსური, მრავალფეროვანი მიდგომების ჩამოყალიბება, მათი განხორციელება და შესაბამისი სტრატეგიების არსებობა.

მნიშვნელოვანია დასკვნის სახით ცალკე განვიხილოთ ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. თეორიული თვალსაზრისით, ნაშრომის შედეგები მნიშვნელოვანია, რადგან აქ განხილული მრავალფეროვანი ტურისტული დესტინაციები და მათი ერთ ნაშრომში თავმოყრა, აადვილებს მკითხველისთვის ნაშრომის მთავარი მიზნების იდენტიფიცირებას. გარდა ამისა, აღნიშნული თეორიული მასალის ერთ ნაშრომში თავმოყრა და მისი კომპლექსური განხილვა ერთგვარ სიახლედაც შეგვიძლია მივიჩნიოთ. რაც შეეხება ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას, ამ მიმართულებით საინტერესოა კვლევითი კომპონენტი, რომელიც ადგენს მნიშვნელოვან ტენდენციებს , რაც საინტერესო უნდა აღმოჩნდეს საკითხით დაინტერესებული პირებისთვის.

დასკვნის დასასრულს, უნდა განვიხილოთ მისი გამოყენების პერსპექტივები. აქ არსებული თეორიული მასალები და კვლევა შესაძლებელია დამხმარე სახელმძღველოდ იქნეს მიჩნეული სხვადასხვა რგოლის წარმომადგენლებისთვის. ნაშრომი შეიძლება დაეხმაროს ტურიზმის სექტორის მკვლევარებს, რათა მათ აღნიშნული ნაშრომი გამოიყენონ შემდგომში სამეცნიერო საქმიანობაში. გარდა ამისა, ის შეიძლება მნიშვნელოვანი დამხმარე აღმოჩნდეს სახელმწიფო სტრუქტურებისთვის, რეგიონში ტურიზმის სტრატეგიის შემუშავების პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დევიძე ე. (2012) კულტურული-მემკვიდრეობა და იმერეთის ტურიზმის განვითარების პრობლემები.
2. ზაქარაია პ. (1988) საქართველოს-ძველი ციხე სიმაგრეები, თბილისი
3. იმერეთში ტურიზმის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია 2012
4. კვარაცხელია ნ. (2009) კულტურული ტურუზმი, თბილისი
5. ლომთათიძე გ.(1957) კლდეეთის სამაროვანი
6. ნიორაძე მ. (1974) ახალი აღმოჩენები საკაჟიას მღვიმეში, საქართველოს ისტ.ნარკვევები 1
7. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025
8. საითიძე გ. (1990) სკანდეს ცოხე, ძეგლის მეგობარი 1 თბილისი
9. ქალაქ ქუთაისისა და მისი მდებარე ტერიტორიების კონკურენტუნარიანობის შეფასება
10. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია
11. ცქიტიშვილი გ. სვერის ციხე (1970)
12. ციციშვილი ი, (1995) შორაპანი და სკანდეს ციხე, ქართული ხელოვნების ისტორია
13. ყიფიანი შ. ტინტილოზოვი ზ. (1966)საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი
14. ხუნდაძე ნ (2016) ქართული ხუროთმოძღვრება
15. ჯაოშვილი, ვ. (1989) ქუთაისი (ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა). თბილისი: "მეცნიერება "
16. იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია (2015) http://imereti.gov.ge/geo/static/93/regions/ABOUT-REGION ნანახია 05.06.19
17. დაცული ტერიტორიების სააგენტო https://apa.gov.ge/ge/protected-areas/cattestone/imeretis-mgvimeebis-daculi-teritoriebi ნანახია 06.06.19
18. საქართველოს ეროვნული მუზეუმი http://museum.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=31 ნანახია 18.06.19

19. United Nations Educational Scientific and cultural (2007) https://whc.unesco.org/en/tentativelists/5235/ ნანახია 24.06.19

20. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (2018) https://gnta.ge/ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/ ნანახია 24.06.19

21. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2018) https://www.geostat.ge/ka/modules/categories/100/turizmis-statistika ნანახია 24. 06.19

22. ქუთაისის მუნიციპალიტეტი http://kutaisi.gov.ge/ge/turizmi ნანახია 24.06.19

23. ვანის მუნიციპალიტეტი http://vani.gov.ge/%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A-%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1/ ნანახია 25.06.19

დანართი

ცხრილი #1

რეგიონი	უცხოელი ვიზიტორები	შიდა ტურიზმი
თბილისი	33.1	24.6
აჭარის ა/რ	20.5	12.8
იმერეთი	**3.6**	**18.8**
კახეთი	5.4	7.3
მცხეთა-მთიანეთი	11.7	6.2
სამცხე-ჯავახეთი	7.8	4.7
ქვემო ქართლი	12.9	6.3
სხვა რეგიონები	5.0	19.3

წყარო : (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

რუკა #1.


იმერეთი საქართველოს ადმინისტრაციულ რუკაზე
აფხაზეთი
სამეგრელო-ზემო სვანეთი
იმერეთი
შიდა ქართლი
მცხეთა-მთიანეთი
გურია
აჭარა
სამცხე-ჯავახეთი
ქვემო ქართლი
თბილისი
კახეთი
0
50
100
კმ
იმერეთი
გურია
აჭარა
სამცხე-ჯავახეთი

რუკა #2

იმერეთის რეგიონის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა



რუკა #3


15 წლისა და უფროსი ასაკის უცხოელი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება საქართველოს რეგიონების მიხედვით 2015-2018 წლებში (ათასი/კაცი)
აფხაზეთი
სამეგრელო-ზემო სვანეთი
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი
მცხეთა-მთიანეთი
იმერეთი
შიდა ქართლი
გურია
აჭარა
სამცხე-ჯავახეთი
ქვემო ქართლი
კახეთი
43
60.8
91.1
112.3
11.7
20.5
28.4
28.8
194.1
211.9
258.2
302
131
139.3
159.9
175.4
33.7
43.1
60.6
47
80.4
86.8
100.3
95.8
24.3
29.5
42
49.5
0
50
100
150 კმ
რეგიონები
2015წ.
2016წ.
2017წ.
2018წ.
*შენიშვნა: რუკაზე არ არის დატანილი რეგიონების ნაწილი, რადგან საქსტატის მონაცემებით ამ რეგიონების მაჩვენებლები ძალიან მცირე იყო, სჩესაბამისად ამ ცალკეული რეგიონების მაჩვენებლების სტატისტიკა არ არსებობს

Ivane Javakhishvili Tbilisi Statue University

Mariami Ediberidze

Historical-Cultural Heritage as one of the most Important Resource for Imereti Tourism Development

Human Geography

Thesis submitted to the faculty of the Human Geograpy in partial fulfillment of the requirements for the degree of master of science

Supervisor: Niko kvaratskhelia

Full Professor

Tbilisi 2019